

# Güncüce



MODÜL-2



DEVLET KİTAPLARI  
BİRİNCİ BASKI

....., 2019

MİLLÎ EĞİTİM BAKANLIĞI YAYINLARI .....: 6930  
YARDIMCI VE KAYNAK KİTAPLAR DİZİSİ.....: 1124

Her hakkı saklıdır ve Millî Eğitim Bakanlığına aittir. Kitabın metin, soru ve şekilleri kısmen de olsa hiçbir surette alınıp yayımlanamaz.

**Hazırlayanlar**

**Prof. Dr. Rusudan SAGİNADZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi**

**Doç. Dr. Maia KİKVDZE / Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi**

**Ali Rıza ALTUNEL**

**Proje Kordinasyon**

**Gürcistan Dostluk Derneği Başkanlığı Adına**

**Kapak Tasarım ve İllüstrasyon**

**Arş. Gör. Gökçe ARİFOĞLU**

**Grafik Tasarım**

**Öznur YILDIRIM**

**Türkçe Dil Uzmanı**

**Erdoğan MURA**

**Rehberlik Geliştirme Uzmanı**

**Uğur YILDIRIM**

**Ölçme Değerlendirme Uzmanı**

**Osman EPÇİM**

ISBN 978-975-11-4826-1

Millî Eğitim Bakanlığı, Talim ve Terbiye Kurulu Başkanlığının 03.09.2018 gün ve 15271342 sayılı yazısı ile eğitim aracı olarak kabul edilmiş, Destek Hizmetleri Genel Müdürlüğünün ..... gün ve ..... sayılı yazısı ile birinci defa ..... adet basılmıştır.





## İSTİKLÂL MARŞI

Korkma, sönmez bu şafaklarda yüzen al sancak;  
Sönmeden yurdumun üstünde tüten en son ocak.  
O benim milletimin yıldızıdır, parlayacak;  
O benimdir, o benim milletimindir ancak.

Çatma, kurban olayım, çehreni ey nazlı hilâl!  
Kahraman ırkıma bir gül! Ne bu şiddet, bu celâl?  
Sana olmaz dökülen kanlarımız sonra helâl.  
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl.

Ben ezelden beridir hür yaşadım, hür yaşarım.  
Hangi çılgın bana zincir vuracakmış? Şaşarım!  
Kükremiş sel gibiyim, bendimi çiğner, aşarım.  
Yırtarım dağları, enginlere sığmam, taşarım.

Garbın âfâkını sarmışsa çelik zırhlı duvar,  
Benim iman dolu göğsüm gibi serhaddim var.  
Ulusun, korkma! Nasıl böyle bir imanı boğar,  
Medeniyet dediğin tek dişi kalmış canavar?

Arkadaş, yurduma alçakları uğratma sakın;  
Siper et gövdeni, dursun bu hayâsızca akın.  
Doğacaktır sana va'dettiği günler Hakk'ın;  
Kim bilir, belki yarın, belki yarından da yakın.

Bastığın yerleri toprak diyerek geçme, tanı:  
Düşün altındaki binlerce kefensiz yatanı.  
Sen şehit oğlusun, incitme, yazıktır, atanı:  
Verme, dünyaları alsan da bu cennet vatanı.

Kim bu cennet vatanın uğruna olmaz ki feda?  
Şüheda fışkıracak toprağı sıksan, şüheda!  
Cânı, cânânı, bütün varımı alsın da Huda,  
Etmesin tek vatanımdan beni dünyada cüda.

Ruhumun senden İlahî, şudur ancak emeli:  
Değmesin mabedimin göğsüne nâmahlâli.  
Bu ezanlar -ki şehadetleri dinin temeli-  
Ebedî yurdumun üstünde benim inlemeli.

O zaman vecd ile bin secde eder -varsa- taşım,  
Her cerîhamdan İlahî, boşanıp kanlı yaşım,  
Fışkırır ruh-ı mücerret gibi yerden na'sım;  
O zaman yükselerek arşa değer belki başım.

Dalgalar sen de şafaklar gibi ey şanlı hilâl!  
Olsun artık dökülen kanlarımın hepsi helâl.  
Ebediyyen sana yok, ırkıma yok izmihlâl;  
Hakkıdır hür yaşamış bayrağımın hürriyyet;  
Hakkıdır Hakk'a tapan milletimin istiklâl!

**Mehmet Âkif Ersoy**


## GENÇLİĞE HİTABE

Ey Türk gençliği! Birinci vazifen, Türk istiklâlini, Türk Cumhuriyetini, ilelebet muhafaza ve müdafaa etmektir.

Mevcudiyetinin ve istikbalinin yegâne temeli budur. Bu temel, senin en kıymetli hazinendir. İstikbalde dahi, seni bu hazineden mahrum etmek isteyecek dâhilî ve hâricî bedhahların olacaktır. Bir gün, istiklâl ve cumhuriyeti müdafaa mecburiyetine düşersen, vazifeye atılmak için, içinde bulunacağın vaziyetin imkân ve şeraitini düşünmeyeceksin! Bu imkân ve şerait, çok namüsaît bir mahiyette tezahür edebilir. İstiklâl ve cumhuriyetine kastedecek düşmanlar, bütün dünyada emsali görülmemiş bir galibiyetin mümessili olabilirler. Cebren ve hile ile aziz vatanın bütün kaleleri zapt edilmiş, bütün tersanelerine girilmiş, bütün orduları dağıtılmış ve memleketin her köşesi bilfiil işgal edilmiş olabilir. Bütün bu şeraitten daha elîm ve daha vahim olmak üzere, memleketin dâhilinde iktidara sahip olanlar gaflet ve dalâlet ve hattâ hıyanet içinde bulunabilirler. Hattâ bu iktidar sahipleri şahsî menfaatlerini, müstevlîlerin siyasî emelleriyle tevhit edebilirler. Millet, fakr u zaruret içinde harap ve bîtap düşmüş olabilir.

Ey Türk istikbalinin evlâdı! İşte, bu ahval ve şerait içinde dahi vazifen, Türk istiklâl ve cumhuriyetini kurtarmaktır. Muhtaç olduğun kudret, damarlarındaki asil kanda mevcuttur.

Mustafa Kemal Atatürk



MUSTAFA KEMAL ATATÜRK



# შინაარსი

თავი 1. მოგესალმებით! გავიცნოთ ერთმანეთი! .....	7
თავი 2. ეს ჩვენი სკოლაა!.. .....	21
თავი 3. მე მიყვარს ჩემი ოჯახი და ნათესავები .....	37
თავი 4. ეს ჩემი სახლია!.. ჩემი მისამართია!.. .....	53
თავი 5. რომელი ქვეყნიდან ხარ? რომელ ენაზე ლაპარაკობ? .....	69
თავი 6. რა არის შენი პროფესია? .....	87
თავი 7. რა დროა? რომელი საათია? .....	103
დანართი 1. დავალებები .....	118
დანართი 2. ზმნები .....	146
დანართი 3. ლექსიკონი .....	155
დანართი 4. მოსმენა და გაგება (პასუხები) .....	161
ლიტერატურა: .....	168



# თავი 1. მოგესალმებით! გავიცნოთ ერთმანეთი!

- ✓ მისალმება
- ✓ გაცნობა
- ✓ მოკითხვა
- ✓ მაღლობის გადახდა
- ✓ დამშვიდობება
- ✓ სახელობითი ბრუნვა
- ✓ ნაცვალსახელები ( მე, შენ... ჩემი, ჩვენი... ეს, ის; ვინ? რა?)
- ✓ ზედსართავი სახელები (კარგი, ცუდი)
- ✓ ზმნები (ვარ, მეჯია...)





1. მოსმინეთ სიტყვები!

1. გამარჯობა!

2. დილა მშვიდობისა!

3. ნახვამდის!

4. კარგად იყავი!

5. ღამე მშვიდობისა!

6. რა გქვია?

7. საღამო მშვიდობისა!

8. მადლობა!

9. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს!



Grid for writing the word.



Grid for writing the word.




Grid for writing the word.



Grid for writing the word.



Grid for writing the word.



Grid for writing the word.



Grid for writing the word.



Grid for writing the word.



Grid for writing the word.

3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები!





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგი!

### ➤ გამარჯობა!

ა: გამარჯობა! მე მქვია გიორგი.  
 ბ: გაგიმარჯოს! მე მქვია ადემი.  
 ა: რა გვარი ხარ?  
 ბ: მე ჩელები ვარ. შენ?  
 ა: მე ვარ დოლიძე.  
 ბ: კარგია!  
 ა: ნახვამდის!  
 ბ: კარგად!



## 1.2. დააკავშირეთ ფორმები!


- |                  |   |                      |
|------------------|---|----------------------|
| 1. გამარჯობა!    | ➔ | ა. მე მქვია მარიამი. |
| 2. რა გვარი ხარ? |   | ბ. გაგიმარჯოს!       |
| 3. რა გქვია შენ? |   | გ. მე ვარ სეზგიანი.  |

## 1.3. წაიკითხეთ დიალოგი!

- მე მქვია... = ჩემი სახელია... = მე ვარ...
- ჩემი გვარია... = მე ვარ...



ა: გამარჯობა! მე ვარ მერიემი. შენ რა გქვია?  
 ბ: მე მქვია ანა.  
 ა: მე ვარ ილდიზი. შენ რა გვარი ხარ?  
 ბ: მე ვარ იაშვილი.



გიორგი: ჩემი სახელია გიორგი. შენი სახელი?  
 ახმედი: ჩემი სახელია ახმედი.  
 გიორგი: ჩემი გვარია აბაშიძე. შენი გვარი?  
 ახმედი: მე ვარ ჩალიშქანი.  
 გიორგი: შენი გაცნობით კმაყოფილი ვარ.



1.4. შეავსეთ წაკითხული დიალოგების მიხედვით!

მერიემი: გამარჯობა! მე ..... მერიემი, შენ რა .....?  
 ანა: ..... მქვია ანა. ეს ვინ არის?  
 მერიემი: ეს გიორგი არის.  
 ანა: გიორგი, რა გვარი ხარ?  
 გიორგი: მე ..... ვარ.  
 მერიემი: ის ვინ არის?  
 გიორგი: ის ახმედია.  
 ანა: ახმედ, შენი გვარი?  
 ახმედი: ჩემი ..... ჩალიშქანი.



2.1. წაკითხეთ დიალოგი!

➤ როგორ(ა) ხარ (თ)?

აიშე: გამარჯობა, ლია, როგორ ხარ?  
 ლია: მადლობა, აიშე, კარგად ვარ. შენ როგორ ხარ?  
 აიშე: დიდი მადლობა, მეც კარგად ვარ.  
 ლია: კარგია!  
 აიშე: მომავალ შეხვედრამდე!  
 ლია: ნახვამდის!

2.2. წაკითხული დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

1. ა: .....	2. ა: როგორ ხარ?	3. ა: .....
ბ: გაგიმარჯოს!	ბ: .....	ბ: ნახვამდის!

- |  |                                      |   |
|--|--------------------------------------|---|
| <input checked="" type="checkbox"/> გამარჯობა! | <input type="checkbox"/> ნახვამდის!  | <input type="checkbox"/> გამარჯობა!           |
| <input type="checkbox"/> მადლობა!              | <input type="checkbox"/> მეც.        | <input type="checkbox"/> მომავალ შეხვედრამდე! |
| <input type="checkbox"/> შეხვედრამდე!          | <input type="checkbox"/> კარგად ვარ. | <input type="checkbox"/> როგორ ხარ?           |



### 3.1. წაიკითხეთ დიალოგი!



ა: გამარჯობა, სელმა!  
 ბ: გაგიმარჯოს, ლია!  
 ა: ეს ვინ არის?  
 ბ: ეს ლეილაა.  
 ა: როგორ ხარ, ლეილა?  
 ბ: მადლობა, კარგად ვარ. შენ?  
 ა: მეც კარგად ვარ. ნახვამდის!  
 ბ: მომავალ შეხვედრამდე!

➤ ნახვამდის! = მომავალ შეხვედრამდე!

### 3.2. შეავსეთ დიალოგი!

ა: სალამო მშვიდობისა!  
 ბ: .....  
 ა: .....  
 ბ: მადლობა, კარგად ვარ.  
 ა: მომავალ შეხვედრამდე!  
 ბ: .....

### ★ კომუნიკაციისათვის

#### მისალმება

ა: გამარჯობა!	ა: დილა მშვიდობისა!	ა: კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება!
ბ: გაგიმარჯოს (თ)!	ბ: დილა მშვიდობისა!	ბ: მადლობა!
ა: სალამი!	ა: სალამო მშვიდობისა!	
ბ: სალამი!	ბ: სალამო მშვიდობისა!	

#### გაცნობა

ა: რა გქვია(თ)?  
 ბ: მე მქვია...  
 ა: რა გვარი ხარ(თ)?  
 ბ: მე ვარ...

#### მოკითხვა

ა: როგორ(ა) ხარ(თ)?  
 ბ: მადლობა, კარგად.  
 ა: როგორ ხარ(თ)?  
 ბ: მადლობა, ცუდად ვარ.  
 ა: როგორ ხარ(თ)?  
 ბ: მადლობა, არა მიშავს.

#### დამშვიდობება

ა: ნახვამდის!  
 ბ: კარგად იყავი (თ)!  
 ა: კარგად!  
 ბ: მომავალ შეხვედრამდე!  
 ა: ღამე მშვიდობისა!  
 ბ: ღამე მშვიდობისა!





# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ დიალოგები!

2. მოსმენილი დიალოგების მიხედვით ჩაწერეთ სწორი პასუხები (✓)!



1.

ა: გამარჯობა!

ბ: .....

1. კარგად.
2. გაგიმარჯოს!
3. ღამე მშვიდობისა!
4. ნახვამდის!

2.

ა: როგორა ხარ?

ბ: .....

1. ნახვამდის!
2. ის კარგად არის
3. სალამი!
4. მადლობა, კარგად ვარ.



3.

ა: ნახვამდის!

ბ: .....

1. დილა მშვიდობისა!
2. გაგიმარჯოს!
3. კარგად იყავით!
4. მოგესალმებით!

4.

ა: ჩემი სახელია ნანა. შენ რა გქვია?

ბ: .....

1. მე ვარ ქაია.
2. მე ვარ ოზდემირი.
3. მე ვარ კახიძე.
4. მე შულე მქვია.





3. მოსმენილის მიხედვით დანომრეთ წინადადებები! 

	რა გქვიათ?
2	<b>დილა მშვიდობისა!</b>
	დიდი მადლობა, კარგად!
	მე მქვია თამარი.
	რა გვარი ხართ?
1	<b>დილა მშვიდობისა!</b>
	როგორა ხართ?
	მე ვარ ბაქრაძე.

4. მოსმენილი დიალოგის მიხედვით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები! 

ა: დილა მშვიდობისა!  
 ბ: .....  
 ა: რა გქვიათ?  
 ბ: .....  
 ა: რა გვარი ხართ?  
 ბ: .....  
 ა: როგორ ხართ?  
 ბ: .....





# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



ა: გამარჯობა!  
 ბ: გაგიმარჯოს!  
 ა: რა გქვია?  
 ბ: მე მქვია ელენე.  
 ა: ელენე, რა გვარი ხარ?  
 ბ: მე ვარ აბაშიძე.  
 ა: როგორ ხარ?  
 ბ: მადლობა, კარგად. შენ?  
 ა: მეც კარგად ვარ.  
 ბ: ნახვამდის, ელენე!  
 ა: ნახვამდის!

## 2. შეავსეთ დიალოგი!

ა: სადამო მშვიდობისა!  
 ბ: ..... !  
 ა: როგორ ხარ?  
 ბ: მე .....ვარ. შენ?  
 ა: მეც კარგად .....  
 ბ: ძალიან კარგი. დამე მშვიდობისა!  
 ა: ..... !







### 3. შეადგინეთ მსგავსი დიალოგი!

★ დაიმახსოვრეთ!



კარგი ≠ ცუდი

კარგად ≠ ცუდად

კარგად ვარ ≠ ცუდად ვარ



ცუდად ვარ = კარგად არ ვარ




# წერა

## 1. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!



ლეილა: გამარჯობა!  
 თამარი: .....  
 ლეილა: რა გქვიათ?  
 თამარი: .....  
 ლეილა: რა გვარი ხართ?  
 თამარი: .....  
 ლეილა: კეთილი იყოს თქვენი  
 მოზრძანება!  
 თამარი: .....

ა: რა გქვია?  
 ბ: ....., შენ?  
 ა: .....  
 ბ: როგორ ხარ?  
 ა: ..... შენ როგორ ხარ?  
 ბ: .....  
 ა: კარგია! ნახვამდის!  
 ბ: .....



დავითი: როგორა ხარ, ნიკა?  
 ნიკა: ....., დავით, შენ როგორ ხარ?  
 დავითი: .....  
 ნიკა: კარგი, ნახვამდის!  
 დავითი: ..... !




ა: სადამო მშვიდობისა, ნინო!  
 ბ: ....., დედა!  
 ა: როგორ ხარ, ნინო?  
 ბ: ..... ვარ, დედა!  
 ა: კარგი, ნინო. ღამე .....!  
 ბ: ....., დედა!






# გრამატიკა

## 1. ანბანი



## 2. არსებითი სახელი



## 3. სახელობითი ბრუნვა

↓

-ი:	∅
ადამიან-ი	დედა-∅
სახელ-ი	დედაენა-∅
გვარ-ი	ია- ∅
თამარ-ი	ფატმა-∅
სონერ-ი	ლია- ∅

ვინ?

↓

მე ვარ ადემი.  
ის არის დავითი.  
შენ კარგი ადამიანი ხარ.  
თქვენ აიშე გქვიათ?



#### 4. პირის ნაცვალსახელები

პირი	მხოლოებითი	მრავლობითი
I	მე	ჩვენ
II	შენ	თქვენ
III	ის	ისინი

მე ალი მქვია.  
შენ რა გქვია?  
ის თამარია.  
თქვენ რა გქვიათ?  
ისინი ვინ არიან?

#### 5. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

I	II	III
ჩემი	შენი	მისი
ჩვენი	თქვენი	მათი



ჩემი სახელი. შენი კალამი. მისი ტელეფონი.  
ჩვენი წიგნი. თქვენი სახელი. მათი გვარი.

#### 6. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს (<—) — ის (—>)



ეს წიგნი ჩემია (შენია, მისია...). — ის კალამი შენია (ჩემია, მისია...).

ეს ბურთი ჩვენია (თქვენია, მათია...). — ის ბურთი თქვენია (ჩვენია, მათია...).

#### 7. ზედსართავი სახელი (როგორი? / რანაირი?)

კარგი ≠ ცუდი

კარგი დღე ≠ ცუდი დღე

ეს ტელეფონი კარგი არ არის, ცუდი ტელეფონია.  
კარგი დილაა. ცუდი ღამეა.



## 8. ზმნა

მე ვარ...	
მე ვ-არ	ჩვენ ვ-არ-თ
შენ ხ-არ	თქვენ ხ-არ-თ
ის არი-ს	ისინი არი-ან

არის > ა (რის) > ა

ეს ვინ არის? || ეს ვინაა?  
 ის ვინ არის? || ის ვინაა?

ეს რა არის? || ეს რაა?  
 ის რა არის? || ის რაა?

ეს დედა არის > ეს დედაა.  
 ის არის მარიამი > ის მარიამია.  
 ეს ტელეფონი ზაფერისაა.  
 ეს წიგნი ჩემია = ეს ჩემი წიგნია.

ეს წიგნი არის > ეს წიგნია.  
 ის არის სახლი > ის სახლია.  
 ის ტელეფონი ლევანისაა.  
 ის წიგნი ესმასია = ის ესმას წიგნია.

მე მქვია	
მე მ-ქვია	ჩვენ გვ-ქვია
შენ გ-ქვია	თქვენ გ-ქვია-თ
მას ჰ-ქვია	მათ ჰ-ქვია-თ

მე მქვია... (= ჩემი სახელია...) →

მე მქვია სონერი = ჩემი სახელია სონერი.  
 მას ჰქვია ესმა = მისი სახელია ესმა.  
 თქვენ რა გქვიათ? = თქვენი სახელი?





# კროსვორდი

ჩაწერეთ მისაღმება-დამშვიდობებისა და გაცნობა-მოკითხვის ფორმები!

	ბ													
ბ	ა	მ	ა	რ	ჯ	ო	ბ	ა						
	ბ													
	ო		ა		მ		ვ			ო		ი		ა
	მ													
კ	ა		ბ		დ		ი		ა		ი			ბ
	რ													
	ჯ				ო		ო			ხ		რ		ვ
	ო													
	ს			ნ	ა		ვ		მ			ს		ა

- პასუხები:** 1. გამარჯობა! 2. გაგიმარჯოს! 3. კარგად იყავი! 4. მადლობა!  
5. როგორ ხარ? 6. რა გქვია? 7. დილა მშვიდობისა! 8. ნახვამდის!

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

სახელი  
გვარი  
დილა  
სალამო  
ლამე  
ვინ?  
რა?  
კარგი  
ცუდი  
მადლობა!

ვარ  
მქვია  
მოგესალმებით!

კარგად  
ცუდად  
სალამი!  
როგორ ხარ?  
დილა მშვიდობისა!  
კეთილი  
იყოს თქვენი  
მოზრმანება!  
ნახვამდის!  
ლამე მშვიდობისა!  
მომავალ  
შეხვედრამდე!





## თავი 2.



### ეს ჩვენი სკოლაა!..

- ✓ სასკოლო ნივთები
- ✓ გაკვეთილები, გაკვეთილების ცხრილი
- ✓ მოზოდიშება (ბოდიში! / დიდი ბოდიში! / მაპატიეთ! / უკაცრავად!)
- ✓ ბრუნვები (მოთხრობითი, მიცემითი)
- ✓ სახელის რიცხვი
- ✓ რაოდენობითი რიცხვითი სახელი
- ✓ ნაწილაკები (დიახ (= ჰო, კი); არა, არ)
- ✓ წახალისება, ქება-შექება (ყოჩაღ! კარგია!)
- ✓ კითხვითი წინადადება
- ✓ ზმნები (ყოლა, ქონა, ცოდნა, წერა, კითხვა, სწავლა, სიარული).



1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. მასწავლებელი

2. მოსწავლე

3. წიგნი

4. რვეული

5. ჩანთა

6. კალამი

7. დაფა

8. გლობუსი

9. კომპიუტერი

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



Grid for labeling the boy.



Grid for labeling the computer.




Grid for labeling the pen.



Grid for labeling the books.



Grid for labeling the teacher.



Grid for labeling the open book.




Grid for labeling the globe.



Grid for labeling the blackboard.



Grid for labeling the school bag.

3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 




# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგი!

### ➤ ეს რა არის?



ნინო: ეს რა არის?  
ჰასანი: ეს მერხია.  
ნინო: ის?  
ჰასანი: ის ცარცია.  
ნინო: ეს ფანქარია?  
ჰასანი: არა, ეს კალამია.  
ნინო: ის კალამი კარგად წერს?  
ფატმა: დიახ, კარგად წერს.



## 1.2. დაწერეთ დიალოგში დასახელებული სასკოლო საგნები!

1. .... 2. .... 3. .... 4. ....

## 1.3. დააკვირდით სურათებს და ჩაწერეთ, რამდენი სასკოლო ნივთია!



ა: რამდენი რვეულია?    ა: რამდენი კალამია?    ა: რამდენი სამლელია?    ა: რამდენი სახაზავია?

ბ: .....    ბ: .....    ბ: .....    ბ: .....





## 2.1. წაიკითხეთ დიალოგები!



### ➤ მყავს... - მაქვს...

ფატმა: ნინო, რამდენი მეგობარი გყავს?

ნინო: მე ბევრი მეგობარი მყავს.

ფატმა: ვინ არიან შენი მეგობრები?

ნინო: ჩემი მეგობრები არიან: ანა, ესმა, აიშე...

ფატმა: კომპიუტერი გაქვთ?

ნინო: დიახ, კომპიუტერი გვაქვს.

ფატმა: ძალიან კარგი!

### ➤ ბოდიში!

ესმა: ბოდიში, თქვენ გიორგი ხართ?

დავითი: არა, მე დავითი ვარ.

ესმა: უკაცრავად, მაპატიეთ!

დავითი: არა უშავს! თქვენ ესმა ხართ?

ესმა: დიახ. მე ესმა ვარ.

დავითი: ესმა, ჩვენს სკოლაში სწავლობთ?

ესმა: დიახ. ნახვამდის!



### ➤ ყოჩაღ!

მასწავლებელი: ლია, ბგერები კარგად იცი?

მოსწავლე: დიახ, კარგად

ვიცი.

მასწავლებელი: ეს რა ბგერაა?

მოსწავლე: ეს არის თ.

მასწავლებელი: ყოჩაღ, ლია, კარგად წერ!

მოსწავლე: გმადლობთ!

მასწავლებელი: არაფრის!



2.2. დიალოგების მიხედვით აღნიშნეთ და ჩაწერეთ სწორი პასუხები (✓)!

1. ა: რამდენი მეგობარი გყავს?

ბ: .....

2. ა: ლია, ეს რა ბგერაა?

ბ: .....

3. ა: ყოჩაღ, კარგად წერ.

ბ: .....

4. ა: უკაცრავად!

ბ: .....

<input type="checkbox"/> ერთი	<input type="checkbox"/> ზ	<input type="checkbox"/> არაფრის	<input type="checkbox"/> ყოჩაღ
<input type="checkbox"/> ბევრი	<input type="checkbox"/> თ	<input type="checkbox"/> დიახ	<input type="checkbox"/> მე მქვია
<input type="checkbox"/> ცოტა	<input type="checkbox"/> ო	<input type="checkbox"/> გმადლობთ!	<input type="checkbox"/> არა უშავს

★ სკოლაში

ა: ეს ვინ არის?

ბ: ეს მასწავლებელია.

ა: ის ვინ არის?

ბ: ის მოსწავლეა.

ა: ეს რა არის?

ბ: ეს ჩანთაა.

ა: ის რა არის?

ბ: ის კალამია.



ა: ეს რა არის?

ბ: ეს დაფაა.



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ დიალოგი!

2. მოსმენილი დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ და ჩაწერეთ სწორი პასუხები (✓)!

1. ეს რა არის?

2. ეს ფანქარი შენია?

3. ეს რვეულია?

4. ეს სკამია?

.....  
.....

.....  
.....

დიახ, ..... არა, ეს.....  
.....

- |                                  |                                |                                 |                                 |
|----------------------------------|--------------------------------|---------------------------------|---------------------------------|
| <input type="checkbox"/> საშლელი | <input type="checkbox"/> ჩემია | <input type="checkbox"/> რუკა   | <input type="checkbox"/> სკამი  |
| <input type="checkbox"/> წიგნი   | <input type="checkbox"/> შენია | <input type="checkbox"/> ცარცი  | <input type="checkbox"/> მერხი  |
| <input type="checkbox"/> გლობუსი | <input type="checkbox"/> მისია | <input type="checkbox"/> რვეული | <input type="checkbox"/> მაგიდა |


3. მოისმინეთ სიტყვები!



4. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ სურათებს!



1. მასწავლებელი



.....




.....



.....




.....



.....



.....



.....





5. მოისმინეთ! 

6. მოსმენილი სიტყვები სათანადო რიცხვის ფორმით ჩაწერეთ ცხრილში! 

მასწავლებელი	მასწავლებლები
კალამი	
რვეული	
მოსწავლე	
საშლელი	



7. მოისმინეთ დიალოგი! 

8. მოსმენილი დიალოგის მიხედვით დანომრეთ წინადადებები! 



2	დიახ, ეს კალამია.
	არა, ეს კალამი კარგად არ წერს.
	არა, ეს ჩანთა არ არის.
	ეს კალამი კარგად წერს?
	ეს რა არის?
	ეს ჩანთაა?
	ეს სკამია.
1	ეს კალამია?



# საუბარი

1 - ერთი...	51 - ორმოცდათერთმეტი...
10 - ათი	60 - სამოცი
11 - თერთმეტი...	61 - სამოცდაერთი...
20 - ოცი	70 - სამოცდაათი
21 - ოცდაერთი...	71 - სამოცდათერთმეტი...
30 - ოცდაათი	80 - ოთხმოცი
31 - ოცდათერთმეტი...	81 - ოთხმოცდაერთი...
40 - ორმოცი	90 - ოთხმოცდაათი
41 - ორმოცდაერთი...	91 - ოთხმოცდათერთმეტი
50 - ორმოცდაათი	100 - ასი...
200 - ორასი...	1000 - ათასი...

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



ა: შენ ჩანთა გაქვს?  
 ბ: დიახ, მე ჩანთა მაქვს.  
 ა: კომპიუტერი გაქვს?  
 ბ: არა, არ მაქვს.

ა: დავალებას წერ?  
 ბ: დიახ, დავალებას ვწერ.  
 ა: ის წიგნს კითხულობს?  
 ბ: დიახ, წიგნს კითხულობს.

ა: რამდენი მეგობარი გყავს?  
 ბ: ძალიან ბევრი.  
 ა: მეც ბევრი მეგობარი მყავს.  
 ბ: კარგია.



2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ მსგავსი დიალოგები!

1.  
მასწავლებლები  
მოსწავლე  
ამხანაგი  
მეგობრები

2.  
სკოლა  
გლობუსი  
რუკა  
ფანქარი

3.  
ჩემი წიგნი  
შენი სკოლა  
მისი საშლელი  
ჩვენი კლასი

3. წაიკითხეთ დიალოგი!

ნინო: გამარჯობა, აიშე!  
აიშე: გაგიმარჯოს, ნინო! ის ვინ არის, იცი?  
ნინო: ვიცი, ის სემრაა, ჩვენს სკოლაში დადის.  
აიშე: სემრა კარგად სწავლობს?  
ნინო: ძალიან კარგად სწავლობს.  
აიშე: ყოჩაღ, კარგია! ნახვამდის!  
ნინო: მომავალ შეხვედრამდე!

4. მოცემული სახელების გამოყენებით შეადგინეთ მსგავსი დიალოგები!

1.  
მერიემი  
ლია  
ისაკი

2.  
ირაკლი  
ჰადი  
დავითი

3.  
გიორგი  
ნაჯი  
ჰაკანი

➤ დაიმახსოვრეთ!

მადლობა! — არაფრის!  
გმადლობთ! — არაფრის!

ბოდიში! / დიდი ბოდიში! /  
მაპატიეთ! / უკაცრავად!

ყოჩაღ! კარგია!  
ლამაზია!..

თქვენი გაცნობით  
კმაყოფილი ვარ!





# წერა

## 1. ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

№	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
1.	მათემატიკა	თურქული ენა	ინგლისური ენა	მათემატიკა	თურქული ენა		
2.	მათემატიკა	თურქული ენა	ინგლისური ენა	მათემატიკა	თურქული ენა		
3.	ქართული ენა	ქიმია	ბიოლოგია	რელიგია და ეთიკა	ფიზიკა		
4.	ქართული ენა	ისტორია	გეოგრაფია	რელიგია და ეთიკა	ინგლისური ენა		
5.	მუსიკა	ხატვა	ფიზკულტურა	ხელსაქმე			

ა: ორშაბათს რამდენი გაკვეთილი გაქვს?

ბ: .....

ა: სამშაბათს ქართული ენა გაქვს?

ბ: არა, .....


ა: ინგლისურ ენას სწავლობ?

ბ: დიახ, .....

ა: შაბათს სკოლაში დადიხარ?

ბ: არა, ..... , შაბათი დასვენებაა.

## 2. დააკვირდით სურათებს და დაწერეთ სიტყვები!




1. ....



2. ....



3. ....



4. ....





3. ჩაწერეთ პასუხების შესაბამისი შეკითხვები!

- 1) ..... ?  
არა, ეს მერხია.
- 2) ..... ?  
დიახ, ის მოსწავლეა.
- 3) ..... ?  
დიახ, ეს ჩემი წიგნია.
- 4) ..... ?  
არა, ის წინოს ამხანაგია.

4. მიუთითეთ, ცხრილში მოცემული სიტყვებიდან რომელი არ აღნიშნავს სასკოლო ნივთს!



პური	
კალამი	
ჩანთა	
ჭიქა	✓
გლობუსი	
ცხენი	
ხე	
ცარცი	
მაგიდა	
ჩიტი	






5. ციფრებს მიუწერეთ შესაბამისი სიტყვები!

4	ოთხი	25		103	
11		30		150	
20		7		15	
8		18		9	
100		35		64	
1000		52		555	

6 ჩაწერეთ რგოლებში სასკოლო ნივთების სახელები!



7. ჩაწერეთ თქვენი გაკვეთილების ცხრილი!

№	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1.					
2.					
3.					
4.					
5.					



# გრამატიკა

## 1. მოთხრობითი ბრუნვა

-მა:	-მ
მასწავლებელ-მა	მოსწავლე-მ
წიგნ-მა	ჩანთა- მ
რვეულ-მა	დაფა- მ
კალამ-მა	რუკა- მ



მასწავლებელმა ჩვენი ცხრილი იცის.  
 მოსწავლემ გაკვეთილი კარგად იცის.  
 ზეინაბმა ქართული ენა იცის.  
 ანამ თურქული ენა იცის.

## 2. მიცემითი ბრუნვა

-ს:	-ს
მასწავლებელ-ს	მოსწავლე-ს
წიგნ-ს	ჩანთა- ს
რვეულ-ს	დაფა- ს
კალამ-ს	დავალება- ს



მასწავლებელს ყველა მოსწავლე უყვარს.  
 ზაფერი წიგნს კითხულობს.  
 სონერი დავალებას წერს.  
 მოსწავლეებს სასკოლო ნივთები აქვთ.

## 3. სახელის რიცხვი (... + ებ)


...	-ებ
წიგნ-ი	წიგნ-ებ-ი
კალამ-ი	კალამ-ებ-ი
მასწავლებელ-ი	მასწავლებელ-ებ-ი
მოსწავლე- ზ	მოსწავლე-ებ-ი
ჩანთა- ზ	ჩანთა-ებ-ი




ესენი მოსწავლეები არიან.  
 ისინი ჩვენი მასწავლებლები არიან.  
 თქვენ სკოლის მოსწავლეები ხართ?  
 მე მაქვს წიგნები, კალმები.  
 მას რვეულები აქვს?



4. რაოდენობითი რიცხვითი სახელი (რამდენი?)



5. კითხვითი წინადადება







6. ნაწილაკები

დადასტურებითი: დიახ (= ჰო, კი)  
 უარყოფითი: არა, არ



- |   |  |
|---|--|
| 1. ა: ეს სკოლაა?<br>ბ: დიახ, ეს სკოლაა.<br>არა, ეს სკოლა არ არის. | 2. ა: ეს მასწავლებელია?<br>ბ: დიახ, მასწავლებელია.<br>არა, მასწავლებელი არ არის. |
| 3. ა: ესენი მოსწავლეები არიან?<br>ბ: დიახ, მოსწავლეები არიან.     | 4. ა: დავითი თქვენი მეგობარია?<br>ბ: დიახ, დავითი ჩემი მეგობარია.                |

7. ზმნა

ყოლა	
მე მ-ყავ-ს	ჩვენ გვ-ყავ-ს
შენ გ-ყავ-ს	თქვენ გ-ყავ-თ
მას ჰ-ყავ-ს	მათ ჰ-ყავ-თ

ქონა	
მე მ-აქვ-ს	ჩვენ გვ-აქვ-ს
შენ გ-აქვ-ს	თქვენ გ-აქვ-თ
მას აქვ-ს	მათ აქვ-თ

**მას ჰყავს - მათ ჰყავთ**  
**მას აქვს - მათ აქვთ**

**მყავს:** მასწავლებელი, მეგობარი... ძაღლი, ჩიტი... მანქანა, ველოსიპედი...  
**მაქვს:** წიგნი, რვეულები, კომპიუტერი...  
 მე მყავს ქართული ენის მასწავლებელი. მას ჰყავს თურქი მეგობრები.

წერა	
მე ვ-წერ	ჩვენ ვ-წერ-თ
შენ წერ	თქვენ წერ-თ
ის წერ-ს	ისინი წერ-ენ

კითხვა	
მე ვ-კითხულობ	ჩვენ ვ-კითხულობ-თ
შენ კითხულობ	თქვენ კითხულობ-თ
ის კითხულობ-ს	ისინი კითხულობ-ენ

**ის წერს - ისინი წერენ**

**მან იცის - მათ იციან**



# კროსვორდი

ჩაწერეთ სკოლასთან დაკავშირებული სიტყვები!

	კ			კ						
მ		ს				ლ				
	კ			ა		ბ				
									კ	
	უ			ი		ს	კ	ო	ლ	ა
									ა	
									ს	
	რ		კ						ი	
						წ				
			მ		ბ			ა		
						ბ				
				დ				ც		
ფ		ნ				ი				
	ს		ხ			ა		ი		

## პასუხები:

1. სკოლა
2. კლასი
3. რუკა
4. წიგნი
5. გლობუსი
6. სახაზავი
7. მაგიდა
8. კომპიუტერი
9. მოსწავლე
10. ცარცი
11. ფანქარი
12. სკამი
13. დაფა

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

სკოლა  
კლასი  
მასწავლებელი  
მოსწავლე  
გაკვეთილი  
მერხი  
ჩანთა  
წიგნი  
კალამი  
რვეული

ფანქარი  
საშლელი  
სახაზავი  
დაფა  
ცარცი  
გლობუსი  
ცხრილი  
კომპიუტერი  
მეგობარი

ცოდნა  
ქონა  
ყოლა  
წერა  
კითხვა  
სწავლა

დღეს  
რამდენი  
დიახ (ჰო, კი)  
არა; არ  
დიდი ბოდიში!  
მაპატიეთ!  
უკაცრავად!  
ყოჩაღ!  
კარგია!  
არაფრის!  
არა უშავს!  
გმადლობთ!



## თავი 3.

### მე მიყვარს ჩემი ოჯახი და ნათესავები

✓ ოჯახი

✓ ნათესავები

✓ ნათესაობითი ბრუნვა

✓ თანდებულები (-ში, -ზე)

✓ ზმნიზედები (სად? საიდან? აქ, იქ...)

✓ კავშირი (და)


✓ ზმნები (ცხოვრება, კეთება, მუშაობა, სიყვარული, მოსვლა, წასვლა)

✓ სინონიმები (ლამაზი, მშვენიერი, ხანდაზმული, ასაკოვანი...)

✓ ანტონიმები (უფროსი, უმცროსი, მოხუცი, ახალგაზრდა)

✓ ფრაზები (როგორ ბრძანდებით? მობრძანდით! დაბრძანდით!

სტუმრად მოსვლა, სტუმრად წასვლა, სტუმრად ყოფნა)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. მამა

2. დედა

3. და

4. ძმა

5. ბაბუა




6. ბიძია


7. მამიდა

8. ბებია

9. დეიდა

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 





# კითხვა და გაგება

## 1.1. წავითხეთ ტექსტი!



### ➤ ჩემი ოჯახი

ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს. ჩემი ოჯახის წევრები არიან: მამა, დედა, ბაბუა, ბებია, უფროსი ძმა და უმცროსი და. მამა მასწავლებელია, დედა - დიასახლისი. ბაბუა და ბებია პენსიონერები არიან. მე და ჩემი და მოსწავლეები ვართ, ძმა უნივერსიტეტში სწავლობს. ჩვენ ანკარაში ვცხოვრობთ. მე ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი.



### 1.2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

- ა: სად ცხოვრობს შენი ოჯახი?
- ბ: .....
- ა: როგორია შენი ოჯახი, პატარაა?
- ბ: .....
- ა: რას აკეთებენ შენი მშობლები, მუშაობენ?
- ბ: .....
- ა: ბაბუა და ბებია პენსიონერები არიან?
- ბ: .....
- ა: სად სწავლობს შენი ძმა?
- ბ: .....
- ა: შენ მოსწავლე ხარ?
- ბ: .....



დედა და მამა > დედ-მამა = მშობლები  
 ცოლი და ქმარი > ცოლ-ქმარი

### 1.3. წაიკითხეთ დიალოგი!



- ა: სად ცხოვრობენ შენი ნათესავები?
- ბ: ჩემი ნათესავები ანკარაში ცხოვრობენ.
- ა: ნათესავები თქვენს ოჯახში სტუმრად მოდიან?
- ბ: დიახ, მოდიან. ჩვენც მივდივართ სტუმრად ნათესავების ოჯახში.
- ა: შენი ბიძაშვილი, ლეილა, რამდენი წლისაა?
- ბ: ლეილა 12 წლისაა. ის სკოლაში სწავლობს.
- ა: კარგი, მადლობა!

### 1.4. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

- ა: შენი ნათესავები სტამბოლში ცხოვრობენ?
- ბ: .....
- ა: ნათესავები თქვენს ოჯახში სტუმრად მოდიან?
- ბ: .....
- ა: ლეილა 15 წლისაა?
- ბ: არა, .....
- ა: ლეილა შენი ბიძაშვილია?
- ბ: .....



## 2.1. წაკითხეთ დიალოგი!



★ ქალაქში

სონერი: ღია, საიდან ხარ? შენი ოჯახი სად ცხოვრობს?

ღია: ჩემი ოჯახი ანკარაში ცხოვრობს.

სონერი: შენ აქ რას აკეთებ?

ღია: მე აქ ვსწავლობ. შენ საიდან ხარ?

სონერი: მე სტამბოლში ვცხოვრობ.


## 2.1. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

№		სწორია	არასწორია
1	ღიას ოჯახი ანკარაში ცხოვრობს.	✓	
2	სონერი ქალაქში არ სწავლობს.		
3	ღია ქალაქში სწავლობს.		
4	სონერი ანკარაში ცხოვრობს.		
5	ღია ქალაქში არ ცხოვრობს.		





### 2.3. წაკითხეთ დიალოგი!



**დავითი:** გამარჯობა, ზაფერ, საიდან მოდიხარ?  
**ზაფერი:** გაგიმარჯოს, სკოლიდან მოვდივარ. შენ სად ხარ?  
**დავითი:** მე სტუმრად ვარ.  
**ზაფერი:** დავით, თურქული ენის გაკვეთილზე არ მიდიხარ?  
**დავითი:** დიახ, მე და თამარი მივდივართ.  
**ზაფერი:** თამარი შენი დეიდაშვილია?  
**დავითი:** არა, თამარი ჩემი მამიდაშვილია.  
**ზაფერი:** სად ცხოვრობენ შენი ნათესავები?  
**დავითი:** ჩემი ნათესავები თბილისში ცხოვრობენ.

### 2.4. წაკითხული დიალოგის მიხედვით დასვით შეკითხვები!


**ნიმუში:** 1) თამარი დავითის მამიდაშვილია?

- 2) .....
- 3) .....
- 4) .....
- 5) .....







# მოსმენა და გაგება



1. მოისმინეთ ტექსტი! 
2. მოსმენილი ტექსტის მიხედვით ცხრილში ჩაწერეთ ვინ და რა ჯგუფის სახელები! 

ვინ გიყვარს?	რა გიყვარს?
მშობლები	
	წიგნები

3. მოისმინეთ წინადადებები! 
4. მოსმენილი წინადადებების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!
  - ა: ვინ არის სონერის დედა?
  - ბ: .....
  - ა: რამდენი წლისაა მარიამის ძმა?
  - ბ: .....
  - ა: რა ჰქვია აიშეს ბიძას?
  - ბ: .....
  - ა: სად ცხოვრობენ ნიკას ბებია და ბაბუა?
  - ბ: .....
5. მოისმინეთ წინადადებები! 
6. მოსმენილი წინადადებების მიხედვით დასვით შეკითხვები!
  - ა: .....
  - ბ: სონერის დედა დიასახლისია.
  - ა: .....
  - ბ: სონერის მამა სკოლაში მუშაობს, მასწავლებელია.



# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



ა: თქვენ ახალგაზრდა დედა გყავთ?  
 ბ: დიახ, მე ახალგაზრდა დედა მყავს.  
 ა: რამდენი წლისაა დედა?  
 ბ: დედაჩემი 45 წლისაა.  
 ა: სად მუშაობს დედა?  
 ბ: დედაჩემი მასწავლებელია.

## 2. შეადგინეთ მსგავსი დიალოგი!

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

## 3. წაიკითხეთ დიალოგი!

### კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!  
 ბ: მადლობა, მოგესალმებით!  
 ა: როგორ ბრძანდებით?  
 ბ: გმადლობთ, კარგად ვარ.  
 ა: მიხარია თქვენი გაცნობა!  
 ბ: მეც. კარგად ბრძანდებოდეთ!






4. შეადგინეთ მსგავსი დიალოგი თავაზიანი გამოთქმების გამოყენებით!

კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება!  
დაბრძანდით!  
როგორ ბრძანდებით?  
სასიამოვნოა თქვენი გაცნობა!  
კარგად ბრძანდებოდეთ!




➤ დაიმახსოვრეთ!





# წერა



## 1. დაწერეთ დიალოგი თქვენი ოჯახის შესახებ!

ა: შენი ოჯახი დიდია?

ბ: არა, ჩემი ოჯახი დიდი არ არის, პატარაა.

ა: ვინ არიან შენი ოჯახის წევრები?

ბ: .....

ა: .....

ბ: .....

ა: .....

ბ: .....





2. დიალოგის მიხედვით დაწერეთ თემა „ჩემი ოჯახი“!

.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....

3. დაასრულეთ პასუხები!

- ა: შენი ძმა შენზე უფროსია?
- ბ: დიახ, ჩემზე .....
- ა: და შენზე უმცროსია?
- ბ: არა, დაც .....
- ა: შენი და და ძმა რამდენი წლის არიან?
- ბ: ჩემი ძმა 21 წლის არის, ჩემი და .....


➤ დაიმახსოვრეთ! ←→

უფროსი ≠ უმცროსი  
ჩემზე უფროსი = ჩემზე დიდი  
ჩემზე უმცროსი = ჩემზე პატარა

მოხუცი ≠ ახალგაზრდა  
მოხუცი = ასაკოვანი = ხნოერი = ხანდაზმული



4. მოცემულ ზმნებს შეუწყვეთ პირის ნაცვალსახელები!



- **ნიმუში:** მე მიყვარს მშობლები. .... უყვარს მშობლები.
- ..... უყვართ მშობლები. .... გვიყვარს მშობლები.
- ..... ბვიყვარს მშობლები. .... აყვარებ მშობლები.

5. დააკავშირეთ სიტყვები!

ქალაქი	მოხუცი
ახალგაზრდა	უმცროსი
მამიდა	მამიდაშვილი
უფროსი	ბიძაშვილი
დეიდა	სოფელი
ბიძია	დეიდაშვილი

**ანდაზა**

↓

„კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო!“






# გრამატიკა

## 1. ნათესაობითი ბრუნვა

-ის	-ის / -ს(ი)
ოჯახ-ის	მამ-ის (< მამჭ-ის)
ნათესავ-ის	დედ-ის (< დედჭ-ის)
შვილ-ის	ძმ-ის (< ძმჭ-ის)
მშობლ-ის	მამიდ-ის (< მამიდჭ-ის)
დავით-ის	ფატმა-ს(ი) (< ფატმა-ღს)

ჩემი **ოჯახის** წევრები სტუმრად არიან.  
 ანა **დავითის** ნათესავის შვილია.  
**ფატმას** მამის სახელია ახმედი.  
**დედის** დას დეიდა ჰქვია.  
 ეს **წიგნი** აიშესია.

## 2. თანდებულები: -ში, -ზე




ჩემს **ოჯახში** ხუთი წევრია.  
**ქალაქში** კარგი სკოლებია.  
**კლასში** ოცი მოსწავლეა.  
**ჩანთაში** სასკოლო ნივთები მაქვს.  
**დედა სკოლაში** მუშაობს.

**წიგნზე** კალამი არის.  
**შენს მერხზე** ჩემი ჩანთაა.  
**მაგიდაზე** კომპიუტერი და გლობუსია.  
**მასწავლებელი დაფაზე** წერს.  
**რუკაზე** ჩემი ქალაქია.

## 3. ზმნიზედა

- **სად** არის შენი ოჯახი?
- **აქ** არის ჩემი ოჯახი.
- **სად** არის ალის სკოლა?
- **იქ** არის ალის სკოლა.
- **სად** ხარ შენ?
- **მე აქ** ვარ.



- **საიდან** მოდიხარ?
- **აქედან** მოვდივარ.
- ის **საიდან** მოდის?
- ის **იქიდან** მოდის.
- **საიდან** ხართ?
- **თურქეთიდან** ვართ.



#### 4. „და“ კავშირი




მე მყავს ერთი ძმა და ორი და.  
 ბებია და ბაბუა სოფელში ცხოვრობენ.  
 ჩვენი ბიძაშვილები და მამიდაშვილები აქ არიან.  
 მე მაქვს წიგნები, კალმები და რვეულები.  
 ფატმა, ლია და ჰადი ერთ სკოლაში სწავლობენ.  
 მარიამს უყვარს ბიძაშვილები და მამიდაშვილები.

#### 5. სინონიმები

ლამაზი = მშვენიერი

ფატმას ლამაზი და ჰყავს. =  
 ფატმას მშვენიერი და ჰყავს.  
 ეს ტელეფონი ლამაზია. =  
 ეს ტელეფონი მშვენიერია.  
 რა ლამაზია! = რა მშვენიერია!

მოხუცი = ხანდაზმული =  
 ხნიერი = ასაკოვანი







## 6. ანტონიმები

დიდი ≠ პატარა



სემრას ოჯახი დიდია, ესმას ოჯახი პატარაა. მე დიდი ბურთი მაქვს, ნიკას პატარა ბურთი აქვს.

უფროსი ≠ უმცროსი



ჩემი ძმა ჩემზე უფროსია, და უმცროსია. უფროსი და მასწავლებელია, უმცროსი მოსწავლეა.

მოხუცი ≠ ახალგაზრდა



ბაბუა მოხუცია, მამა ახალგაზრდაა. ანას მოხუცი მშობლები ჰყავს. ლიას ახალგაზრდა მშობლები ჰყავს.

## 7. ზმნა

### ცხოვრება

მე ვ-ცხოვრობ	ჩვენ ვ-ცხოვრობ-თ
შენ ცხოვრობ	თქვენ ცხოვრობ-თ
ის ცხოვრობ-ს	ისინი ცხოვრობ-ენ

### სიყვარული

მე მ-იყვარ-ს	ჩვენ გვ-იყვარ-ს
შენ გ-იყვარ-ს	თქვენ გ-იყვარ-თ
მას უყვარ-ს	მათ უყვარ-თ





# კროსვორდი

ჩაწერეთ ოჯახისა და ნათესავების აღმნიშვნელი სიტყვები!

								ბ						
				ბ		ძ								
								ბ						
					ღ				ბ					
			ნ				მ		მ		ა			
	ო	ჯ	ა	ხ	ი					ძ				
			თ				მ							
			ე		ა					შ				
			ს				ღ							
		მ	ა		ა					ი	ო		ა	
			ვ					შ						
ბ		ბ	ი							ი				
								ი						
								ი						

**პასუხები:** 1. ოჯახი 2. ნათესავი 3. მამიდაშვილი 4. ბიცოლა 5. ბაბუა 6. დეიდა  
7. მამიდა 8. დედა 9. ბიძაშვილი 10. მამა 11. და 12. ბებია 13. ძმა 14. ბიძია.

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები!

ოჯახი  
მამა  
დედა  
მშობლები  
ძმა  
და  
ბებია  
ბაბუა  
წევრი  
ნათესავი  
ბიძია  
მამიდა  
დეიდა  
ქალაქი  
სოფელი

დიდი  
პატარა  
უფროსი  
უმცროსი  
ახალგაზრდა  
მოხუცი  
ხნიერი  
ასაკოვანი  
ხანდაზმული  
ლამაზი  
მშვენიერი

ცხოვრება  
მუშაობა  
გაკეთება  
სიყვარული

სად?  
საიდან?  
როგორი?  
აქ  
იქ  
აქედან  
იქიდან  
სტუმრად  
წასვლა  
როგორ ხარ (თ)?  
როგორ  
ბრძანდებით?  
მობრძანდით!  
დაბრძანდით!



## თავი 4.

ეს ჩემი სახლია!.. ჩემი მისამართია!..



- ✓ სახლი
- ✓ ოთახი
- ✓ ავეჯი, ნივთები
- ✓ მისამართი
- ✓ თანდებული (-თან)
- ✓ რიგობითი რიცხვითი სახელი (პირველი, მეორე...)
- ✓ კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი (ვისი? რისი?)
- ✓ ანტონიმები (მაღალი, დაბალი... ახლოს, შორს... მზიანი, უმზეო...)
- ✓ ბრძანებითი კილო (შეიძლება? / თუ შეიძლება!..)
- ✓ ზმნა (დალაგება, მომზადება, მეცადინეობა, ყურება)





1. მოისმინეთ სიტყვები! 

1. სახლი

2. აივანი

3. მისაღები ოთახი

4. საწოლი ოთახი

5. სამზარეულო


6. სააბაზანო

7. ეზო

8. გარაჟი

9. სვენი


2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



Blank grid for labeling the balcony image.



Blank grid for labeling the garage image.



Blank grid for labeling the kitchen image.




Blank grid for labeling the bedroom image.




Blank grid for labeling the living room image.



Blank grid for labeling the bathroom image.



Blank grid for labeling the garden image.



Blank grid for labeling the house image.



Blank grid for labeling the house image.

3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტები!




### ➤ მარიამის სახლი

ეს მარიამის სახლია. სახლი სამსართულიანია. პირველ სართულზე გარაჟია, მეორე სართულზე: მისაღები ოთახი, ბიბლიოთეკა, სამზარეულო და სააბაზანო. მესამე სართულზე სამი საწოლი ოთახია. სახლს ირგვლივ დიდი ეზო აქვს. ეზოში ლამაზი ყვავილებია. მარიამს ძალიან უყვარს თავისი სახლი.

### ➤ ფატმას საძინებელი ოთახი

ფატმას საძინებელი ოთახი მეორე სართულზეა. იგი დიდი და ნათელია. ოთახში არის: საწოლი, ტანსაცმლის კარადა, სამუშაო მაგიდა, კომპიუტერი, სავარძელი. კედელზე ლამაზი სურათებია. იატაკზე ყვავილებიანი ხალიჩაა. ფატმას ძალიან უყვარს თავისი ოთახის დალაგება.



### ★ სად ცხოვრობთ?

- სად არის თქვენი სახლი? = სად ცხოვრობთ? = რა არის თქვენი მისამართი?
- ჩემი სახლი არის თბილისში, რუსთაველის გამზირზე. = მე თბილისში, რუსთაველის გამზირზე ვცხოვრობ. = ჩემი მისამართია: თბილისი, რუსთაველის გამზირი, № 15.



**1.2. ტექსტების მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!**

1. რამდენ სართულიანია მარიამის სახლი?

.....

2. რამდენი ოთახია მარიამის სახლში?

.....

3. რა არის მეორე სართულზე?

.....

4. რომელ სართულზეა ფატმას საძინებელი ოთახი?

.....

5. ფატმას ოთახი პატარაა?

.....

6. რა არის ფატმას საძინებელ ოთახში?

.....

**1.3. ტექსტების მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები(✓)!**

1. ა: რამდენ სართულიანია მარიამის სახლი?

ბ: .....

ერთსართულიანი

სამსართულიანი

მრავალსართულიანი

ხუთსართულიანი

2. ა: რომელ სართულზეა ბიბლიოთეკა?

ბ: .....

პირველ

მეორე

მესამე

მეოთხე

3. ა: რომელ სართულზეა ფატმას ოთახი?

ბ: .....

მესამე

მეოთხე

პირველ

მეორე

4. ა: ვინ ალაგებს ფატმას ოთახს?

ბ: .....

დედა

მარიამი

ფატმა

ბებია



2.1. წაიკითხეთ დიალოგი!

➤ რას აკეთებ?

გიორგი: დედა, დილა მშვიდობისა!  
 დედა: დილა მშვიდობისა, გიორგი!  
 გიორგი: რას აკეთებ, დედა?  
 დედა: სადილს ვამზადებ.  
 გიორგი: მამა სად არის?  
 დედა: მამა ბაღში მუშაობს.  
 გიორგი: ბებია და ბაბუა სად არიან?  
 დედა: ისინი მისაღებ ოთახში  
 ტელევიზორს უყურებენ.

2.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

	სწორია	არასწორია
1. დედა სახლს ალაგებს.		
2. მამა ბაღში მუშაობს.	✓	
3. ბაბუა საწოლ ოთახშია.		
4. ბებია მისაღებ ოთახშია.		
5. გიორგი ეზოშია.		
6. დედა და გიორგი სამზარეულოში არიან.		

2.3. დაასრულეთ პასუხები!

ა: შენი ოთახი დიდი და მზიანია?

ბ: დიახ, .....

ა: როგორია შენი დის ოთახი?

ბ: ..... პატარა და უმზეოა.

ა: მისაღები ოთახი ნათელია?

ბ: დიახ, .....









# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ სიტყვები!

2. მიუწერეთ სურათებს სიტყვები მოსმენილის მიხედვით!



1.

2.

3.

4.

5.

6.

3. მოისმინეთ წინადადებები!

4. მოსმენილი სიტყვები ჩაწერეთ ცხრილში!

მისაღები ოთახი	საწოლი ოთახი	სამზარეულო	ეზო





5. მოისმინეთ წინადადებები! 

6. დასვით შეკითხვები მოსმენილი წინადადებების მიხედვით! 

ა: .....

ბ: ნინო პირველ კორპუსში ცხოვრობს.

ა: .....

ბ: ნინოს კორპუსი რუსთაველის ქუჩაზეა.

ა: .....

ბ: ნინოს კორპუსის ახლოს სკოლა არის.

7. მოისმინეთ წინადადებები! 

8. მოსმენილი წინადადებების მიხედვით შემოხაზეთ სწორი ვარიანტი! 

ა: ჰადი გაზეთს კითხულობს.

ბ: ბაბუა ტელევიზორს უყურებს.

გ: დედა და ბებია სახლს ალაგებენ.

დ: მამა გაზეთს კითხულობს.

 დაიმახსოვრეთ!




მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, რუსთაველის გამზირი, №..., II სადარბაზო, V სართული, ბინა 15.





# საუბარი

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგი!



**ალი:** ნიკა, სოფელში სახლი გაქვთ?

**ნიკა:** დიახ, სოფელში დიდი და ახალი სახლი გვაქვს.

**ალი:** რამდენი ფანჯარა აქვს შენს ოთახს?

**ნიკა:** ჩემს ოთახს ორი ფანჯარა აქვს.

**ალი:** თქვენს სახლს ეზო აქვს?

**ნიკა:** ჩვენს სახლს ირგვლივ ძალიან ლამაზი ეზო აქვს.

**ალი:** ეზოში ყვავილები არის?

**ნიკა:** დიახ, ეზოში ყვავილები არის.



1.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) ნიკას სოფელში სახლი აქვს?

.....

2) ნიკას სოფელში როგორი სახლი აქვს?

.....

3) ნიკას სახლს ეზო აქვს?

დიახ, .....

4) ეზოში ყვავილები არის?

დიახ, .....

5) ნიკას ოთახს რამდენი ფანჯარა აქვს?

.....

2. მოცემული ანტონიმების გამოყენებით ააგეთ დიალოგები და ისაუბრეთ!

შიგნით ≠ გარეთ  
ზევით ≠ ქვევით

ახლოს ≠ შორს  
მაღლა ≠ დაბლა

ნათელი ≠ ბნელი  
მაღალი ≠ დაბალი

ა: .....	ა: .....
ბ: .....	ბ: .....
ა: .....	ა: .....
ბ: .....	ბ: .....

3. მოცემული სიტყვების გამოყენებით აღწერეთ თქვენი ოთახი!

სახლი, ოთახი, გაზქურა, ტელევიზორი, ნათელი, კარადა, საწოლი, ფანჯარა, სავარძელი, მაცივარი, მაგიდა, სკამები, სარკე, კარი, დიდი, მზიანი, სართული, სხვენი, სახურავი, კიბე, ლიფტი, კორპუსი, მრავალსართულიანი, მაღალი, ირგვლივ, აივანი.





# წერა

1. ჩაწერეთ რიგობითი რიცხვითი სახელები სიტყვიერად!

მე ვცხოვრობ **პირველ** სადარბაზოში (1).

ესმა ცხოვრობს ..... სადარბაზოში (3).

ჩვენ ვცხოვრობთ ..... სადარბაზოში (2).

ისინი ცხოვრობენ ..... სადარბაზოში (4).



2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

**წინამუხი:** დიდი / არის / მაგიდა / ოთახში  
ოთახში დიდი მაგიდა არის.

1) ეზო / არის / ირგვლივ / სახლის

.....  
2) არის / და / გაუქურა / სამზარეულოში / მაცივარი

.....  
3) სახლი / სკოლასთან / ჩვენი / არის / ახლოს

.....  
4) საწოლ / ხალიჩა / და / არის / ოთახში / სარკე

.....  
5) ცხოვრობს / მესამე / მეგობარი / სართულზე / ჩემი





3. აწარმოეთ ქონების აღმნიშვნელი (-იან სუფიქსიანი) სახელები!

**ნიმუში:** აივანი - აივნიანი

ავეჯი — ..... ყვავილი — .....  
 ოჯახი — ..... გარაჟი — .....  
 ეზო — ..... მზე — .....

4. აწარმოეთ უქონლობის აღმნიშვნელი (უ- ... -ო პრეფიქს-სუფიქსიანი) სახელები!

**ნიმუში:** აიავანი – უაივნო

ავეჯი — ..... კარი — .....  
 ფანჯარა — ..... ეზო — .....  
 გარაჟი — ..... მზე — .....


5. მოცემული ანტონიმების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები!

№	ანტონიმები		წინადადება
1	<b>დიდი</b>	პატარა	<b>ანას დიდი სახლი აქვს.</b>
2	კარგი	ცუდი	
3	მალალი	დაბალი	
4	ახალი	ძველი	
5	ნათელი	ბნელი	
6	ბევრი	ცოტა	
7	ზევით	ქვევით	
8	ახლოს	შორს	



# გრამატიკა


1. თანდებული: -თან (ვისთან? რასთან?)



სალამოს მეგობართან მივდივარ.  
 სონერთან ნიკა და ალი არიან.  
 დედასთან ყოფნა მიყვარს.  
 შუღესთან სტუმრები არიან.

ჩემს სახლთან დიდი სკოლაა.  
 ოთახში საწოლებთან კარადაა.  
 ფანჯარასთან ლამაზი აივნია.  
 ეზოსთან მანქანა არის.

2. რიგობითი რიცხვითი სახელები (რომელი? / მერამდენე?):



ციფრები → 1, 5, 10, 50, 100...  
 → I, V, X...

1	5	10	21
1-ლი	მე-5	მე-10	21-ე
I	V	X	XXI
პირველი	მეხუთე	მეათე	ოცდამეერთე



ა: რომელ კორპუსში ცხოვრობ?  
 ბ: პირველ კორპუსში ვცხოვრობ.  
 ა: რომელ სადარბაზოში ხარ?  
 ბ: III სადარბაზოში ვარ.  
 ა: რომელ სართულზეა შენი ბინა?  
 ბ: ჩემი ბინა მერვე სართულზეა.

ა: რომელ სკოლაში სწავლობ?  
 ბ: მე ვსწავლობ 32-ე სკოლაში.  
 ა: რომელ კლასში ხარ?  
 ბ: VII კლასში ვარ.  
 ა: საკლასო ჟურნალში მერამდენე ხარ?  
 ბ: ჟურნალში მეთხუთმეტე ვარ.

3. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ვისი? (< ვინ?)  
 რისი? (< რა?)

ვისი ოთახი? — დავითის ოთახი  
 ეს ვისი ოთახია? — ეს ესმას ოთახია.  
 რისი გასაღები? — სახლის გასაღები  
 ეს რისი გასაღებია? — ეს კარადის გასაღებია.

4. ანტონიმები



ნათელი ≠ ბნელი      შიგნით ≠ გარეთ  
 მაღალი ≠ დაბალი    ახლოს ≠ შორს  
 ახალი ≠ ძველი        ზევით ≠ ქვევით

...-იანი ≠ უ-...-ო  
 აივანი > აივნ-იანი ≠ უ-აივნ-ო  
 ავეჯი > ავეჯიანი ≠ უავეჯო

ჩვენი ოთახი ბნელი არ არის, ნათელია.  
 ეზოში მაღალი ხეებია, ქუჩაში დაბალი ხეებია.  
 ეს ავტომანქანა ახალია, ის ძველია.  
 გარეთ მზეა, შიგნით მზე არ არის.  
 სკოლა სახლთან ახლოს არ არის, შორსაა.

მე მზიანი ოთახი მიყვარს, უმზეო არ მიყვარს.  
 ჩვენ ავეჯიანი სახლი გვაქვს, მათ – უავეჯო.  
 უაივნო სახლი კარგი არ არის, აივნიანი კარგია.



5. ბრძანებითი კილო (წართქმითი და უკუთქმითი)

შენ დაწერე! გააკეთე! წადი!	თქვენ დაწერეთ! გააკეთეთ! წადით!
-------------------------------------	--

არ / ნუ  
არ დაწერო(-თ)! / ნუ დაწერ(-თ)!  
არ წახვიდე(-თ)! / ნუ წახვალ(-თ)!  
არ გააკეთო(-თ)! / ნუ გააკეთებ(-თ)!

ესმა, დავალება უფრო ლამაზად დაწერე!  
დაფაზე ბევრი უცხო სიტყვა არ დაწეროთ!  
სკოლიდან სახლში წადით!  
მერიემ, ახლოს იყავი, შორს ნუ წახვალ!  
ნინო, წაიკითხე ახალი სიტყვები და ისწავლე!

➤ დაიმახსოვრეთ!

თხოვნა: შეიძლება? || თუ შეიძლება, ...!

შეიძლება

- შემოვიდე?
- გავიდე?
- წავიდე?

თუ შეიძლება,

- შემოვალ!
- გავალ!
- წავალ!

შემოდით! = შემობრძანდით!  
გადით! = გაბრძანდით!  
წადით! = წაბრძანდით!

6. ზმნა

დალაგება	
მე ვ-ალაგებ	ჩვენ ვ-ალაგებ-თ
შენ ალაგებ	თქვენ ალაგებ-თ
ის ალაგებ-ს	ისინი ალაგებ-ენ

მეცადინეობა	
მე ვ-მეცადინეობ	ჩვენ ვ-მეცადინეობ-თ
შენ მეცადინეობ	თქვენ მეცადინეობ-თ
ის მეცადინეობ-ს	ისინი მეცადინეობ-ენ





# კროსვორდი

ჩაწერეთ სახლთან დაკავშირებული სიტყვები!

			ს					ს		
		ფ		ნ		ა				
			მ					რ		
		ს	ა	ხ	ლ	ი		ე		ო
	ა									
კ			ე				კ		მ	
	ვ									
			ლ				რ		ბ	
	ნ			თ		ხ				
									დ	
					დ					
		ბ		რ			ი			

**პასუხები:** 1. სახლი 2. ეზო 3. გარაჟი 4. მაგიდა 5. სარკე 6. ოთახი 7. ფარდა  
 8. აივანი 9. კიბე 10. სამზარეულო 11. სკამი 12. კარი 13. ფანჯარა  
 თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

- სახლი
- ეზო
- ოთახი
- აივანი
- სამზარეულო
- სააბაზანო
- სართული
- სარკე
- კარადა
- საწოლი
- გასაღები
- მისამართი
- მაღალი
- დაბალი
- ახალი
- ძველი
- პირველი
- მეორე
- ნათელი
- ბნელი
- მზიანი
- აივნისანი

- მეცადინეობა
- მომზადება
- დალაგება
- ყურება

- ვისი?
- რისი?
- რომელი?
- მერამდენე?
- ირგვლივ
- გვერდით
- ახლოს
- შორს
- ზევით
- ქვევით
- შიგნით
- გარეთ





# თავი 5.

რომელი ქვეყნიდან ხარ? რომელ ენაზე ლაპარაკობ?

✓ ქვეყნები

✓ ენები

✓ ქალაქები

✓ სატრანსპორტო საშუალებები

✓ დაბადების თარიღი

✓ მოქმედებითი ბრუნვა

✓ სადაურობის, წარმომავლობის სახელები

✓ ნაწილაკი (-ვე)

✓ კავშირი (მაგრამ)

✓ ვალდებულებისა და ნება-სურვილის გამოხატვა (უნდა გავაკეთო... მინდა, გინდა...)

✓ ფრაზები (სადაური ხარ? რომელი ქვეყნიდან ხარ? რომელ ენაზე ლაპარაკობ? სად მდებარეობს? რით დადიხარ?)

✓ ზმნები (ლაპარაკი, ჩამოსვლა, მგზავრობა, მოგზაურობა, სეირნობა)







1. მოისმინეთ ქვეყნების სახელები! 

1. თურქეთი

2. საქართველო

3. აზერბაიჯანი

4. ამერიკა

5. გერმანია

6. საფრანგეთი

7. ინგლისი

8. რუსეთი

9. ეგვიპტე

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



Handwriting practice lines for the word 'თურქეთი'.



Handwriting practice lines for the word 'საქართველო'.



Handwriting practice lines for the word 'აზერბაიჯანი'.



Handwriting practice lines for the word 'აზერბაიჯანი'.



Handwriting practice lines for the word 'გერმანია'.



Handwriting practice lines for the word 'საფრანგეთი'.



Handwriting practice lines for the word 'ინგლისი'.



Handwriting practice lines for the word 'რუსეთი'.



Handwriting practice lines for the word 'ამერიკა'.

3. გაიმეორეთ ქვეყნების სახელები! 





# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ დიალოგი!

### ➤ სადაური ხართ?

ჰასანი: გამარჯობა, კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება!

გიორგი: გაგიმარჯოთ!

ჰასანი: თქვენი სახელი?

გიორგი: მე მქვია გიორგი, თქვენ?

ჰასანი: მე ვარ ჰასან ქაია. გიორგი, სადაური ხართ?

გიორგი: მე საქართველოდან ვარ. თქვენ?

ჰასანი: მე თურქეთიდან ვარ. გიორგი, თურქულად ლაპარაკობთ?

გიორგი: ცოტას ვლაპარაკობ, მაგრამ მინდა ვისწავლო.

ჰასანი: მეც მინდა ქართული ენის სწავლა.

გიორგი: კარგია, მიხარია თქვენი გაცნობა!

ჰასანი: მეც მოხარული ვარ!

## 1.2. დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1) რომელი ქვეყნიდანაა გიორგი?

.....

2) ჰასანი სადაურია?

.....

3) გიორგი ქართულად ლაპარაკობს?

დიახ, .....

4) გიორგიმ თურქული ენა იცის?

დიახ, .....

5) რომელი ენის სწავლა უნდა ჰასანს?

.....



### 1.3. წაიკითხეთ დიალოგი!



#### ➤ რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ?

ნინო: გამარჯობა, აიშე, რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ?

აიშე: მე თურქეთის მოქალაქე ვარ, თურქი ვარ, შენ, ნინო?

ნინო: მე საქართველოს მოქალაქე ვარ, ქართველი ვარ.

აიშე: ჯონი სადაურია?

ნინო: ჯონი ინგლისის მოქალაქეა, ინგლისელია.

აიშე: მაგდალენა და ალიცია უცხოელები არიან?

ნინო: დიახ, ისინი უცხოელები არიან, პოლონეთის მოქალაქეები.

აიშე: სასიამოვნოა!



1.4. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)!

1. რომელია თურქეთის მოქალაქე?  წინო  ალიცია  აიშე
2. მაგდალენა არის:  ქართველი  ინგლისელი  პოლონელი
3. უცხოელები არიან:  მაგდალენა და ალიცია  ალიცია და აიშე  მაგდალენა და აიშე
4. ჯონი ლაპარაკობს:  გერმანულად  ფრანგულად  ინგლისურად

2.1. წაიკითხეთ ტექსტები!

➤ მე ბათუმში ვცხოვრობ

მე მარიამ ბერიძე ვარ, საქართველოში, ქალაქ ბათუმში ვცხოვრობ. ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე. იგი პატარა, ლამაზი ქალაქია. ბათუმში ბევრი უცხოელი ტურისტი ჩამოდის და სეირნობს.

მე ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი.

➤ პოლი პარიზელია

პოლი ფრანგია. ის პარიზელია. პოლი გერმანულად და ინგლისურად კარგად ლაპარაკობს. ის ქართულ ენასაც სწავლობს. პოლის მშობლები საქართველოში ჩამოდიან. პოლისაც ძალიან უნდა საქართველოში მოგზაურობა.






2.2. ტექსტების მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

		სწორია	არასწორია
1.	ბათუმი დიდი და ლამაზი ქალაქია.		✓
2.	პარიზი შავი ზღვის სანაპიროზეა.		
3.	ბათუმში ბევრი ტურისტი ჩამოდის.		
4.	მარიამ ბერიძე ბათუმელია.		
5.	პოლი პარიზელია.		
6.	პოლი და მარიამი ფრანგები არიან.		
7.	პოლი სწავლობს ქართულ ენას.		
8.	პოლს საქართველოში მოგზაურობა უნდა.		

2.3. წაიკითხეთ სურათების ქვეშ მიწერილი სიტყვები და დიალოგი!



ავტომანქანა



ავტობუსი



მიკროავტობუსი



თვითმფრინავი



მატარებელი



გემი



ველოსიპედი





➤ რით მოგზავრობთ?

ალი: ჰასან, მოგზაურობა გიყვარს?

ჰასანი: ძალიან მიყვარს, ჩემი ოჯახი ხშირად მოგზაურობს.

ალი: ანკარაში რით მოგზავრობთ?

ჰასანი: ავტობუსით. თქვენ რით მოგზავრობთ ბურსაში?

ალი: მამაჩემის მანქანით, ზოგჯერ თვითმფრინავით.

ჰასანი: შულე და ესმა რით მოგზავრობენ?

ალი: ისინი მატარებლით მოგზავრობენ.

ჰასანი: ჩემი ძმა ახლა იტალიაშია, გემით მოგზაურობს.

ალი: უჰ, რა კარგია, მეც მინდა გემით მოგზაურობა!

ჰასანი: ძალიან კარგია!

**2.4. პასუხების მიხედვით დასვით შეკითხვები!**

ა: .....

ბ: ჰასანს მოგზაურობა ძალიან უყვარს.

ა: .....

ბ: ჰასანის ოჯახი ავტობუსით მოგზავრობს.

ა: .....

ბ: ზოგჯერ მანქანით, ზოგჯერ თვითმფრინავით.

ა: .....

ბ: არა, შულე და ესმა მიკროავტობუსით არ მოგზავრობენ.

ა: .....

ბ: ჰასანის ძმა იტალიაშია.



★ რით დადიხარ? რით მგზავრობ? რით მოგზაურობ?

**დავდივარ:** ფეხით, ველოსიპედით, მატარებლით, ავტობუსით, მანქანით...

**ვმგზავრობ / ვმოგზაურობ:** მანქანით, ავტობუსით, მიკროავტობუსით, გემით, თვითმფრინავით...

❖ დაიმახსოვრეთ!



საიდან ხართ? || სადაური ხართ?

საიდან ბრძანდებით? || სადაური ბრძანდებით?

ა: საიდან ხართ?|| საიდან ბრძანდებით?|| სადაური ხართ? || სადაური ბრძანდებით?

ბ: საქართველოდან ვარ, ქართველი ვარ.



ა: რომელ ქვეყანაში ცხოვრობ? || რომელი ქვეყნიდან ხარ?

ბ: გერმანიაში ვცხოვრობ || გერმანიიდან ვარ.




# მოსმენა და გაგება



1. მოისმინეთ წინადადებები! 
2. მოსმენილი წინადადებების მიხედვით ჩაწერეთ ცხრილში! 

სახელი, გვარი	ქვეყანა	საცხოვრებელი ადგილი	ასაკი
თამარ აბაშიძე			
ალი ჩალიშქანი			
ნატალია სმირნოვა			

3. უპასუხეთ შეკითხვებს! 
- 1) რომელი ქვეყნის მოქალაქეა თამარი?  
.....
- 2) თამარი რამდენი წლისაა?  
.....
- 3) თამარმა რომელი ენები იცის?  
.....
- 4) ალი სადაურია?  
.....
- 5) რომელი უცხო ენა იცის ნატალიამ?  
.....



# საუბარი

რა იცით ქვეყნების შესახებ?

ქვეყნები	დედაქალაქები	ხალხები	ენები
საქართველო	თბილისი	ქართველი	ქართული
თურქეთი	ანკარა	თურქი	თურქული
აზერბაიჯანი	ბაქო	აზერბაიჯანელი	აზერბაიჯანული
გერმანია	ბერლინი	გერმანელი	გერმანული
იტალია	რომი	იტალიელი	იტალიური
ესპანეთი	მადრიდი	ესპანელი	ესპანური
საფრანგეთი	პარიზი	ფრანგი	ფრანგული
რუსეთი	მოსკოვი	რუსი	რუსული
ამერიკა	ვაშინგტონი	ამერიკელი	ინგლისური
ჩინეთი	პეკინი	ჩინელი	ჩინური
იაპონია	ტოკიო	იაპონელი	იაპონური

თურქეთის ქალაქები	საქართველოს ქალაქები
ანკარა, სტამბოლი, იზმირი, ქონია, ანტალია, ალანია, ბურსა, დუზჯე, ერზურუმი, სამსუნი, სივასი, ნევშეჰირი, კაისერი, ტრაპიზონი, რიზე, ართვინი...	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, თელავი, სიღნაღი, გორი, ცხინვალი, ზუგდიდი, სოხუმი, ფოთი, ზესტაფონი, სენაკი, ქობულეთი...

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!

**სელმა:** ღია, თქვენ ჩვენი მეზობელი ხართ?

**ღია:** დიახ, მე თქვენი მეზობელი ვარ. ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ.

**სელმა:** ქართველი ხართ?

**ღია:** ქართველი ვარ.

**სელმა:** რამდენი წლის ხართ?

**ღია:** მე 15 წლის ვარ, 1999 წლის 22 მარტს დავიბადე ბათუმში, თქვენ?

**სელმა:** მეც 15 წლის ვარ, 1999 წლის 11 დეკემბერს დავიბადე ანკარაში.

**ღია:** თქვენი გაცნობით კმაყოფილი ვარ!

**სელმა:** მადლობა, მეც!





2. ქვემოთ მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგი!

მერიემი  
მარიამი  
თურქეთი  
საქართველო  
1997 წლის 1 ივნისი  
2003 წლის 15 აპრილი

3. წაიკითხეთ დიალოგი!



ანკარა



თბილისი



ბაქო

დავითი: ალი, ანკარა დიდი ქალაქია?  
ალი: დიდია, მაგრამ სტამბოლი უფრო დიდი ქალაქია. თბილისი?  
დავითი: თბილისი საქართველოში ყველაზე დიდი ქალაქია.  
ალი: სად მდებარეობს თბილისი?  
დავითი: თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს.  
ალი: ბაქო თბილისთან ახლოს არის?  
დავითი: ბაქო თბილისთან ძალიან ახლოს არ არის.  
ალი: კარგი. მადლობა!



4. ქვემოთ მოცემული სიტყვებით ააგეთ მსგავსი დიალოგები!

იზმირი  
რიზე  
დიდი  
პატარა  
მდებარეობს

თბილისი  
ბათუმი  
დიდი  
პატარა  
მდებარეობს

5. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტყვები და ისაუბრეთ!

- სად მდებარეობს სტამბოლი?
- სად არის საქართველო?
- რომელ მხარეშია საქართველოს დედაქალაქი თბილისი?
- რომელ ქვეყანაში გინდათ მოგზაურობა?

სად მდებარეობს?	
აღმოსავლეთ საქართველოში	აღმოსავლეთში/აღმოსავლეთით
დასავლეთ საქართველოში	დასავლეთში/დასავლეთით
ჩრდილოეთ თურქეთში	ჩრდილოეთში/ჩრდილოეთით
სამხრეთ თურქეთში	სამხრეთში/სამხრეთით

❖ დაიმახსოვრეთ! →

უფრო დიდი ≠ უფრო პატარა  
ყველაზე დიდი ≠ ყველაზე პატარა  
ყველაზე დიდი ქალაქი ≠ ყველაზე პატარა ქალაქი



# წერა



1. დაწერეთ თქვენს შესახებ!

**ნიმუში:** მე ვარ ლეილა თურანი, 13 წლის. მე დავიბადე .....

.....  
.....  
.....  
.....

2. უბასუხეთ!

ა: რომელია იტალიის დედაქალაქი?

ბ: .....

ა: გერმანელები რომელ ენაზე ლაპარაკობენ?

ბ: .....

ა: ბაქო აზერბაიჯანის დედაქალაქია?

ბ: .....

ა: ამერიკელები რომელ ენაზე ლაპარაკობენ?

ბ: .....





### 3. ჩაწერეთ ზმნის ფორმები!

**ნიმუში:** ნანა თბილისში მიდის.



1. ნანა თბილისში ----- (წასვლა)
2. ისინი საქართველოში ----- (მოგზაურობა)
3. ნინოს დედა და მამა ანტალიიდან ----- (მოსვლა)
4. მე ორი წელია ბათუმში ----- (ცხოვრება)
5. სემრა ახლა იზმირის პარკში ----- (სეირნობა)
6. ჩვენ ქართულ ენაზე ----- (ლაპარაკი)

**ანდაზა:**

„რამდენი ენა იცი, იმდენი ადამიანი ხარ!“







# გრამატიკა

## 1. მოქმედებითი ბრუნვა (ვისით? რით?)

-ით	-ით / -თ(ი)
ოჯახ-ით	მამ-ით
შვილ-ით	ძმ-ით
მეგობრ-ით	სიძ-ით
დავით-ით	ფატმა-თ(ი) (< ფატმა-ით)
ტაქს-ით	დან-ით



**ვისით?**  
 დედა კმაყოფილია შვილებით.  
**რით?**  
 ტრანსპორტით ბევრი ადამიანი დადის.  
 მე სკოლაში ფეხით დავდივარ.

## 2. სადაურობის, წარმომავლობის სახელები

აქაური (< აქ)  
 იქაური (< იქ)

სადაური? (< სად?) / საიდან?

... + -ელ  
 ანკარ-ელ-ი/ანკარიდან  
 თბილის-ელ-ი/თბილისიდან

ქალაქ-ელ-ი / ქალაქიდან  
 სოფლ-ელ-ი / სოფლიდან

- ესმა სადაურია?
- ესმა აქაურია.
- გიორგი სადაურია?
- გიორგი იქაურია.
- შენ აქაური ხარ?
- არა, მე აქაური არ ვარ.

ახმედი თურქეთელი ქართველია.  
 ქიმიის მასწავლებელი ანკარელია.  
 გიორგი თბილისელია.  
 ტომასი ამერიკელია.  
 შულეს დედა ქალაქელია.  
 ანას ბაბუა სოფლელია.



3. ნაწილაკი (-ვე)



ორი + -ვე = ორივე  
ათი + -ვე = ათივე...

პიერი და ლუისი ფრანგები არიან. **ორივე** პარიზში ცხოვრობს. გიორგი, ახმედი და ალი – **სამივე** ძალიან კარგად სწავლობს. **ხუთივე** მოსწავლე ერთ სკოლაში დადის. **ათივე** წიგნი ბიბლიოთეკაში არის.

4. კავშირი (მაგრამ)

საფრანგეთში მოგზაურობა ძალიან მინდა, ეგვიპტეში მოგზაურობა ძალიან მინდა,




ფრანგული ენა არ ვიცი. პასპორტი არ მაქვს.

მარიამი თელაველია, **მაგრამ** ანკარაში სწავლობს. ეგვიპტეში წასვლა მინდა, **მაგრამ** შორს არის. ახალი ტელეფონი მინდა, **მაგრამ** ფული არ მაქვს. ესმამ ინგლისური ენა იცის, **მაგრამ** ქართულის სწავლაც უნდა.



5. ვალდებულებისა და ნება-სურვილის გამოხატვა (უნდა გავაკეთო... მინდა, გინდა...)



ქართული ენა კარგად უნდა ვისწავლო.  
 სტამბოლში უნდა წავიდე.  
 ბევრი წიგნი უნდა წავიკითხოთ.  
 დავალება არ უნდა დაწერო?  
 მან ავტობუსით არ უნდა იმგზავროს?

მე **მინდა** ქართული ენის **სწავლა**. = მე **მინდა** **ვისწავლო** ქართული ენა.  
 მე **მინდა** თურქული ენის **სწავლა** = მე **მინდა** **ვისწავლო** თურქული ენა.  
 ჩვენ **გვინდა** თურქეთში **მოგზაურობა**. = ჩვენ **გვინდა** **ვიმოგზაუროთ** თურქეთში.  
 მე **მინდა** ბევრი წიგნის **წაკითხვა**. = მე **მინდა** **წავიკითხო** ბევრი წიგნი.

6. ზმნა

მგზავრობა	
მე <b>ვ</b> -მგზავრობ	ჩვენ <b>ვ</b> -მგზავრობ- <b>თ</b>
შენ მგზავრობ	თქვენ მგზავრობ- <b>თ</b>
ის მგზავრობ- <b>ს</b>	ისინი მგზავრობ- <b>ენ</b>

მოგზაურობა	
მე <b>ვ</b> -მოგზაურობ	ჩვენ <b>ვ</b> -მოგზაურობ- <b>თ</b>
შენ მოგზაურობ	თქვენ მოგზაურობ- <b>თ</b>
ის მოგზაურობ- <b>ს</b>	ისინი მოგზაურობ- <b>ენ</b>

ნდომა	
მე <b>მ</b> -ინდა	ჩვენ <b>გვ</b> -ინდა
შენ <b>გ</b> -ინდა	თქვენ <b>გ</b> -ინდა- <b>თ</b>
მას უნდა	მათ უნდა - <b>თ</b>



# კროსვორდი

ჩაწერეთ ქვეყნების სახელები!

			ს			რ			გ			ო
			ა									
თ	უ	რ	ქ	ე	თ	ი					რ	
			ა						მ			
	მ		რ		კ						ს	
			თ			ლ						
			ვ						ო			
	ა		ე		ბ	ა		ჯ			ო	
			ლ									
			ო		ო		ე		ო			

**პასუხები:** 1. თურქეთი 2. საქართველო 3. პოლონეთი 4. აზერბაიჯანი  
5. რუსეთი 6. ამერიკა 7. საფრანგეთი 8. იტალია 9. გერმანია.

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

ქვეყანა მშობლიური  
ქალაქი უცხო  
ენა უცხოელი  
დედაენა ქართველი  
დროშა  
მოქალაქე  
მოსახლეობა  
მეზობელი  
ზღვა  
ასაკი  
პასპორტი

ლაპარაკი  
ჩამოსვლა  
ნდომა  
მგზავრობა  
მოგზაურობა  
სეირნობა

დაბადების  
თარიღი  
რომელი  
ქვეყნიდან  
ხარ?  
რომელ ენაზე  
ლაპარაკობ?  
სად  
მდებარეობს?  
რამდენი  
წლის ხარ?





# თავი 6.

## რა არის შენი პროფესია?

- ✓ პროფესია
- ✓ სპეციალობა
- ✓ ვითარებითი ბრუნვა
- ✓ ნაცვალსახელი (ყველა, თავისი)
- ✓ „იმიტომ რომ“ კავშირიანი კონსტრუქცია
- ✓ ფრაზები (რას საქმიანობთ? / რა პროფესიისა ხართ / რა არის თქვენი პროფესია?)
- ✓ ზმნის დრო (ახლანდელი, წარსული, მომავალი)
- ✓ ზმნები (მუშაობა, სწავლება, მკურნალობა, შენება, ხატვა, მოწონება)






1. მოსმინეთ სიტყვები! 

- |                 |                 |               |
|-----------------|-----------------|---------------|
| 1. მასწავლებელი | 2. კბილის ექიმი | 3. ეკონომისტი |
| 4. პოლიციელი    | 5. მძღოლი       | 6. მუსიკოსი   |
| 7. მფრინავი     | 8. პროგრამისტი  | 9. დიასახლისი |

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 

3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



# კითხვა-გაგება

## 1. წაიკითხეთ ტექსტები!

### ➤ 1.1. მე მასწავლებელი ვარ

ჩემი სახელია მარიამი. მე ორმოცდახუთი წლის ვარ. ახლა ანკარაში ვცხოვრობ. ქართული ენის მასწავლებელი ვარ. ჩემი სპეციალობა და ჩემი მოსწავლეები ძალიან მიყვარს.



### ➤ 1.2. ალის მამა ექიმია



მე ალი მქვია. სტამბოლში ვცხოვრობ. მამაჩემი ქალაქში ცნობილი ექიმია, საავადმყოფოში მუშაობს. მამა 50 წლისაა. ის ძალიან კარგი ადამიანია. მას უყვარს თავისი პროფესია და პაციენტები.

### ➤ 1.3. ნიკა მძღოლია

მე ვარ ნიკა, 35 წლის. ჩემი პროფესია მძღოლობაა. მძღოლის პროფესია ადვილი არ არის, რთულია, მაგრამ საინტერესოა. ავტობუსით ბევრი ადამიანი მგზავრობს. მე მიყვარს ადამიანები და ჩემი საქმე.







➤ 1.4. ლიას დედა დიასახლისია

ლიას დედას ელენე ჰქვია. ის 40 წლისაა, პროფესიით მედდა. დეიდა ელენე არ მუშაობს, იმიტომ რომ დიასახლისია. ის სახლში ბევრ საქმეს აკეთებს: ალაგებს, სადილს ამზადებს. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.



➤ 1.5. დავითი ინჟინერია



დავითი ინჟინერია. ის 53 წლის არის. ახლა ანკარაში ახალ სკოლას აშენებს. დავითის შვილებიც მშენებლები არიან. ყველას ძალიან უყვარს თავისი პროფესია.

2. ზემოთ მოცემული ტექსტის (1.1.) მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები (✓)!

№		სწორია	არასწორია
1	ქალბატონი მარიაში 46 წლისაა.		✓
2	ქალბატონი მარიაში თურქული ენის მასწავლებელია.		
3	ქალბატონი მარიაში ახლა ანკარაში ცხოვრობს.		
4	ქალბატონ მარიამს ძალიან უყვარს მოსწავლეები.		
5	ქალბატონ მარიამს უყვარს თავისი სპეციალობა.		





3. ზემოთ მოცემული ტექსტის (1.2.) მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1. ალის მამა ექიმია?

.....

2. სად მუშაობს ალის მამა?

.....

3. რამდენი წლისაა ალის მამა?

.....

4. ექიმობა ადვილი პროფესიაა?

.....

5. ალის მამას უყვარს თავისი პროფესია და პაციენტები?

.....

4. ზემოთ მოცემული ტექსტების მიხედვით შეავსეთ ცხრილი!

№	სახელი	ასაკი	რას საქმიანობს?	სად მუშაობს?
1.	მარიამი			
2.			ექიმია	
3.		35 წლის		
4.				არ მუშაობს
5.			ინჟინერია	

5. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით!

ადვილი, მწელი, საინტერესო, მნიშვნელოვანი, მასწავლებლობა, ინჟინრობა, პროგრამისტობა, იურისტობა.

➤ **ნიმუში:** იურისტობა მწელი პროფესიაა.

.....

.....

.....



➤ დაიმახსოვრეთ!

ის რა პროფესიის არის?

მასწავლებელია,  
ექიმი, ფარმაცევტი, მედდა,  
ინჟინერია, იურისტი, ადვოკატი,  
ეკონომისტი, ბიოლოგია, ქიმიკოსია,  
ფიზიკოსია, მძღოლია, მფრინავია,  
დალაქია, მკერავია...



რომელი პროფესია მოგწონს? || ვინ გინდა იყო?



**მე მომწონს:**

მასწავლებლობა, ექიმობა,  
ფარმაცევტობა, ექთნობა,  
ინჟინრობა, იურისტობა,  
ადვოკატობა, ეკონომისტობა,  
ბიოლოგობა, ქიმიკოსობა,  
ფიზიკოსობა, მძღოლობა,  
მფრინავობა, დალაქობა,  
მკერავობა...



**მე მინდა ვიყო:**

მასწავლებელი, ექიმი,  
ფარმაცევტი, მედდა,  
ინჟინერი, იურისტი,  
ადვოკატი, ეკონომისტი,  
ბიოლოგი, ქიმიკოსი,  
ფიზიკოსი, მძღოლი,  
მფრინავი, დალაქი,  
მკერავი...



# მოსმენა და გაგება

1. მოისმინეთ წინადადებები! 
2. მოსმენილი წინადადებების მიხედვით აღნიშნეთ სწორი პასუხები (✓)! 

1. ფატმას რომელი პროფესია უნდა?

- მუსიკოსობა უნდა
- მხატვრობა უნდა



2. რას საქმიანობს ფატმას მამა?

- პროგრამისტია
- ბიზნესმენია



3. ფატმას დედა სად მუშაობს?

- კლინიკაში
- ბანკში



4. ფატმას ძმა რა პროფესიისაა?

- ფიზიკოსია
- სპორტსმენია



3. მოისმინეთ წინადადებები! 

4. მოსმენილი წინადადებების მიხედვით შეავსეთ ცხრილი! 

№	სახელი	ასაკი	სად მუშაობს?	რას საქმიანობს?
1.		18 წლის		
2.	ლეილა ქილიჩი		აფთიაქში	
3.		45 წლის		
4.				მფრინავია



5. მოისმინეთ ტექსტი! 

6. მოსმენილი ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს! 

ა: რა პროფესიის არის ბატონი გიორგი?

ბ: .....

ა: ადვოკატობა რთული პროფესიაა?

ბ: .....

ა: უფროსი ვაჟი ფინანსისტია?

ბ: .....

ა: უმცროსი ვაჟი ბიზნესმენია?

ბ: .....

ა: რას საქმიანობს გოგონა?

ბ: .....



➤ დაიმახსოვრეთ!

ადვილი ≠ ძნელი



იურისტობა ადვილი არ არის, ძნელია.







# საუბარი

## 1. წაიკითხეთ დიალოგი!



ესმა: სადაური ხარ, ილია?

ილია: მე თბილისელი ვარ, საქართველოდან ჩამოვედი.

ესმა: აქ რას საქმიანობ?

ილია: ბანკში ვმუშაობ, ფინანსისტი ვარ. შენ რას საქმიანობ?

ესმა: მე ფარმაცევტი ვარ. ორი წელი კლინიკაში ვიმუშავე, ახლა აფთიაქში ვმუშაობ.

ილია: კარგია, მომწონს ეს სპეციალობა.

## 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ მსგავსი დიალოგები!

შულე  
სკოლა  
თურქული  
მასწავლებელი

ელენე  
დიასახლისი  
ოჯახი  
საქმე

ლია  
ანკარა  
ქართული  
მასწავლებელი



### 3. წაიკითხეთ ტექსტი და დასვით შეკითხვები!

#### ➤ პროფესია

დავითის ოჯახში ექვსი წევრია. მშობლები მასწავლებლები არიან. ბაბუა ტაქსის მძღოლია, ბებია - დიასახლისი. დავითი და მისი და, ანა, მოსწავლეები არიან. ანას ფარმაცევტობა უნდა. ყველა პროფესია საინტერესოა და კარგია, მაგრამ დავითს პროგრამისტობა მოსწონს. დღეს ეს სპეციალობა ძალიან მნიშვნელოვანია.

1. ....
2. ....
3. ....
4. ....
5. ....

#### ★ ვინ რას საქმიანობს?



- მასწავლებელი ასწავლის.
- ექიმი მკურნალობს.
- დალაქი თმებს ჭრის.
- მკერავი კერავს.
- მშენებელი აშენებს.
- მხატვარი ხატავს.
- მუსიკოსი მუსიკას წერს.
- პროგრამისტი პროგრამას წერს.
- მძღოლი მანქანას მართავს.



# წერა

## 1. დააკავშირეთ!

მედლა	სკოლა
ეკონომისტი	ავტობუსი
მასწავლებელი	სალონი
მძღოლი	სახლი
დალაქი	ბანკი
დიასახლისი	საავადმყოფო



## 2. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. მასწავლებელი / ქართული / დედა / ენის / წინოს / არის

.....

2. ვიყო / სპორტსმენი / მინდა

.....

3. მუშაობენ / საავადმყოფოში / ექიმები

.....

4. პროფესია / არ / ადვილი / მათემატიკოსობა / არის

.....





3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები სათანადო სიტყვებით!

1. ანა და ნანა ექიმები ..... (ყოფნა)  
2. მედდა ..... მუშაობს (საავადმყოფო)  
3. ლიას ქიმიკოსობა ძალიან ..... (მოწონება)  
4. ფატმას მშობლები სად ..... ? (მუშაობა)  
5. .... პროფესიით მშენებელი ხართ?

4. დაწერეთ, რა პროფესიისა არიან თქვენი ოჯახის წევრები და ნათესავები!

.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....







# გრამატიკა

## 1. ვითარებითი ბრუნვა (რად?)

-ად	-დ
ექიმ-ად	მედდა-დ
მძღოლ-ად	მესაათე-დ
მასწავლებლ-ად	მემანქანე-დ



სემრას დედა კლინიკაში **ექიმად** მუშაობს.  
 ნიკას მამა **მძღოლად** იმუშავებს.  
 მე **მასწავლებლად** მუშაობა მინდა.  
 ალიმ ბანკში **ფინანსისტად** იმუშავა.

## 2. ნაცვალსახელები (ყველა, თავისი)

**ვინ?**  
 ყველა = მე + შენ + ის + ჩვენ....



მამა, დედა, ბაბუა, ბებია, ძმა და და – **ყველა** ჩემი ოჯახის წევრია.  
 მასწავლებლობა, ექიმობა, იურისტობა... – **ყველა** მნიშვნელოვანი პროფესიაა.  
 წიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი... – **ყველა** სასკოლო ნივთია.


**ვისი? → თავისი**



გიორგი კარგად აკეთებს **თავის საქმეს**. || გიორგი კარგად აკეთებს **საკუთარ საქმეს**.  
 ყველას უყვარს **თავისი პროფესია**. || ყველას უყვარს **საკუთარი პროფესია**.



3. „იმიტომ რომ“ კავშირიანი კონსტრუქცია



სემრას მასწავლებლად მუშაობა უნდა, **იმიტომ რომ** მოსწონს ეს პროფესია.  
 ალის მამა ყველას უყვარს, **იმიტომ რომ** გამოცდილი ექიმია.  
 ჩემი და დღეს სკოლაში არ წავიდა, **იმიტომ რომ** ავად იყო.  
 აქ ბევრი ბანკი, კლინიკა და სკოლაა, **იმიტომ რომ** ქალაქი დიდია.

4. ზმნის დრო (ახლანდელი, მომავალი, წარსული)

	მუშაობა		
	ახლანდელი	მომავალი	წარსული
მე	ვ-მუშაობ	ვ-იმუშავებ	ვ-იმუშავე
შენ	მუშაობ	იმუშავებ	იმუშავე
ის	მუშაობ-ს	იმუშავებ-ს	მან იმუშავ-ა
ჩვენ	ვ-მუშაობ-თ	ვ-იმუშავებ-თ	ვ-იმუშავე-თ
თქვენ	მუშაობ-თ	იმუშავებ	იმუშავე-თ
ისინი	მუშაობ-ენ	იმუშავებ-ენ	მათ იმუშავ-ეს



# კროსვორდი

ჩაწერეთ პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვები!

	კ				ვ		ე		ო		ი			
					ფ						შ			
		ა		წ		ლ		ბ		ლ				
						კ								
					მ	ლ					ე		დ	
					ც	პ			ი			ე		ი
			ე										ა	
				ა		ი		ი						
ე			მ										ი	
					ი				ფ					
								ი			ს		ი	
ა								ი						
			პ		რ		მ		ი					
									ა					
<b>პ</b>	<b>რ</b>	<b>ო</b>	<b>ფ</b>	<b>ე</b>	<b>ს</b>	<b>ი</b>	<b>ა</b>	<b>ა</b>	<b>დ</b>		<b>ო</b>		<b>ა</b>	<b>ი</b>
									ი					

**პასუხები:** 1. პროფესია 2. პოლიციელი 3. მასწავლებელი 4. ექიმი 5. ეკონომისტი  
 6. სპორტსმენი 7. იურისტი 8. დალაქი 9. მედდა 10. ინჟინერი 11. მკერავი  
 12. ფარმაცევტი 13. თერძი 14. ადვოკატი 15. მძღოლი 16. მფრინავი  
 თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

პროფესია  
 ექიმი  
 ინჟინერი  
 პოლიციელი  
 მშენებელი  
 ეკონომისტი  
 დალაქი  
 პროგრამისტი  
 მძღოლი  
 საინტერესო  
 ცნობილი  
 ადვილი  
 რთული  
 ყველა

მუშაობა  
 სწავლება  
 მკურნალობა  
 შენება  
 კერვა  
 ხატვა  
 შეჭრა  
 მოწონება

რატომ?  
 იმიტომ რომ...  
 რას საქმიანობ?  
 რა პროფესიისა  
 ხართ?  
 რა არის თქვენი  
 პროფესია?  
 მანქანის მართვა







## თავი 7.

### რა დროა? რომელი საათია?



- ✓ წელიწადის დროები
- ✓ თვეები
- ✓ საათი
- ✓ ჩემი დღე
- ✓ ნაცვალსახელები (ვისთან? რასთან? ვისთან ერთად? რასთან ერთად?)
- ✓ ზმნიზედები (რომელ საათზე? როდის? რა დროს? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს? შემდეგ, ადრე, წინ...)
- ✓ ზმნები (გალვიძება, ადგომა, დაბანა, საუზმოება, სადილოება, ვახშმოება, დამინება)
- ✓ ფრაზები (მე ვფიქრობ... რა დღეა დღეს? რა რიცხვია? რომელი საათია? || რა დროა?)





1. მოსმინეთ სიტყვები! 

1. რომელი საათია?

2. შუადღეა.

3. დილაა

4. ცხრის ნახევარია

5. პირველი საათია

6. საღამოა

7. დაძინების დროა


8. გაზაფხულია

9. ზაფხულია

2. მოსმენილი სიტყვები მიუწერეთ შესაბამის სურათებს! 



Blank grid for writing.



Blank grid for writing.




Blank grid for writing.




Blank grid for writing.




Blank grid for writing.



Blank grid for writing.



Blank grid for writing.



Blank grid for writing.



Blank grid for writing.

3. გაიმეორეთ მოსმენილი სიტყვები! 



# კითხვა-გაგება

## 1.1. წაიკითხეთ ტექსტი!



### ➤ დრო

საუკუნეში 100 წელია. წელიწადში 365 (366) დღე და 4 დროა. ესენია: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი. ერთ წელში 12 თვეა. თვეში ზოგჯერ 31 დღეა, ზოგჯერ – 30. თებერვალი მოკლე თვეა. თებერვალში 29 ან 28 დღეა. თვეში 4 ან 5 კვირაა. კვირაში 7 დღეა. დღე-ღამეში 24 საათია. საათში 60 წუთია, წუთში 60 წამია.

## 1.2. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

- ა: რამდენი წელია საუკუნეში?
- ბ: .....
- ა: ერთ წელიწადში 5 დროა?
- ბ: .....
- ა: რომელია ყველაზე მოკლე თვე?
- ბ: .....
- ა: დღე-ღამეში რამდენი საათია?
- ბ: .....
- ა: საათში რამდენი წუთი და რამდენი წამია?
- ბ: .....





### 1.3. წაიკითხეთ ტექსტი!

#### ➤ წელიწადის დროები

ლეილა თურქეთში ცხოვრობს, ერზრუმელია. ერზრუმში ახლა შემოდგომაა. შემოდგომაზე იქ ზოგჯერ გრილა, ზოგჯერ ცივა.

გიორგი საქართველოში ცხოვრობს, თელაველია. იქ ახლა გრილა. საქართველოში ზამთარი ძალიან ცივი არ არის. ზაფხულშიც არ ცხელა ძალიან. ანჟელა ყველაზე ცხელი ქვეყნიდან არის, აფრიკელია. აფრიკაში სულ ცხელა. ალექსანდრე რუსეთიდან არის. რუსეთში შემოდგომაც და ზამთარაც ძალიან ცივია.

### 1.4. პასუხების მიხედვით დასვით შეკითხვები!

ა: .....

ბ: ერზრუმში შემოდგომაზე ზოგჯერ გრილა, ზოგჯერ ცივა.

ა: .....

ბ: არა, საქართველოში ზაფხულში ძალიან არ ცხელა.

ა: .....

ბ: აფრიკა ყველაზე ცხელი ქვეყანაა.

ა: .....

ბ: ალექსანდრეს ქვეყანაში შემოდგომაც ცივია და ზამთარაც.

### 2.1. წაიკითხეთ დიალოგი!

#### ➤ რომელ ქვეყანაში რომელი საათია?

**აიშე** : გამარჯობა, თამარ! როგორ ხარ?

**თამარი** : გაგიმარჯოს, აიშე. მაღლობა, კარგად ვარ.

**აიშე** : თურქეთში ახლა 12 საათია. საქართველოში?

**თამარი** : ჩვენთან პირველი საათია, ერთი საათით წინ ვართ.

**აიშე** : იტალიაში რომელი საათი იქნება? ჩემი მშობლები იქ არიან. ჩემი უმცროსი ძმაც მშობლებთან ერთად არის.

**თამარი** : მე ვფიქრობ, იტალიაში ახლა 4 საათი იქნება.

**აიშე** : ახლა ამერიკაში ღამეა?

**თამარი** : დიახ, ღამეა.


**აიშე** : მაღლობა, თამარ. კარგად!





2.2. დიალოგის მიხედვით აღნიშნეთ სწორი და არასწორი პასუხები!

№		სწორია	არასწორია
1	თურქეთში 12 საათია.	✓	
2	აიშეს მშობლები თბილისში არიან.		
3	იტალიაში დამეა.		
4	საქართველოში პირველი საათია.		
5	აიშეს უმცროსი ძმა ინგლისშია.		



➤ დაიმახსოვრეთ!

როდის? = რა დროს? = რომელ საათზე?

- გაზაფხული —> გაზაფხულ-ზე
- ზაფხული —> ზაფხულ-ში
- შემოდგომა —> შემოდგომა-ზე
- ზამთარი —> ზამთარ-ში



- გაზაფხულზე თბილა.
- ზაფხულში ცხელა.
- შემოდგომაზე გრილა.
- ზამთარში ცივა




# მოსმენა და გაგება

1. მოსმინეთ! 




**თურქეთი**  
12-05



**საქართველო**  
13.20



**გერმანია**  
16:30



**ამერიკა-  
ლამის**  
23:30

2. მოსმენილი დრო ჩაწერეთ სიტყვებით!

თურქეთში .....  
 საქართველოში .....  
 გერმანიაში .....  
 ამერიკაში.....

3. მოსმინეთ წინადადებები! 

4. უპასუხეთ მოსმენილი წინადადებების მიხედვით!

ა: გაკვეთილები რომელ საათზე იწყება?  
 ბ: .....  
 ა: გაკვეთილები რომელ საათზე მთავრდება?  
 ბ: .....  
 ა: სკოლის ავტობუსი რომელ საათზე მოდის?  
 ბ: .....  
 ა: სკოლიდან სახლში რამდენ წუთში ხართ?  
 ბ: .....



# საუბარი

1. მიუწერეთ სურათებს წელიწადის დროები!



Handwriting practice grid for the first illustration.



Handwriting practice grid for the second illustration.



Handwriting practice grid for the third illustration.



Handwriting practice grid for the fourth illustration.

2. წელიწადის დროებისა და თვეების სახელებით ააგეთ დიალოგი!

➤ ნიმუში:

ა: მაისი გაზაფხულის თვეა. მაისში ძალიან ცხელა?

ბ: არა, მაისში ძალიან არ ცხელა, თბილა.

ა: .....

ბ: .....

ა: .....




ბ: .....

ა: .....

ბ: .....



3. დააკვირდით!



4. ისაუბრეთ!

**ნიმუში:**

**გაზაფხულის თვეებია:** მარტი, აპრილი, მაისი. გაზაფხულზე თბილა.

ზაფხულის თვეებია : .....

შემოდგომის თვეებია : .....

ზამთრის თვეებია : .....

5. პასუხების მიხედვით დასვით შეკითხვები!

ა: .....

ბ: ახალი წელი 1 იანვარს იწყება.

ა: .....

ბ: იანვარში ზამთრის არდადეგებია.

ა: .....

ბ: შაბათი და კვირა უქმე დღეებია, დასვენებაა.


ა: .....

ბ: კვირას ადრე არ ვიღვიძებ.





❖ დაიმახსოვრეთ!














სექტემბერ-ში – 15 სექტემბერ-ს  
 სწავლა სექტემბერში იწყება.  
 სწავლა 15 სექტემბერს იწყება.

იანვარ-ში – 1 იანვარ-ს  
 ახალი წელი იანვარში იწყება.  
 ახალი წელი 1 იანვარს იწყება.



# წერა

1. მიუწერეთ, რომელი საათია!



2. უპასუხეთ შეკითხვებს!

1) წელს თბილი შემოდგომაა, შარშან როგორი იყო?  
.....

2) დღეს ორშაბათია. რა დღე იყო გუშინ? რა დღე იქნება ხვალ?  
.....

3) გუშინწინ სამშაბათი იყო. რა დღეა დღეს?  
.....

4) დღეს ოთხშაბათია. რა დღე იქნება ზეგ?  
.....

5) ორი დღის წინ კვირა იყო. რა დღე იქნება ორი დღის შემდეგ?  
.....



3. წაიკითხეთ ტექსტი!

➤ დღის რეჟიმი

გიორგი ყოველდღე 8 საათზე იღვიძებს, დგება, სააბაზანოში ხელპირს იბანს, 8.30 საათზე საუზმობს. 9 საათზე სკოლაში არის. მას დღეში ზოგჯერ 4, ზოგჯერ 5 გაკვეთილი აქვს. გიორგი სკოლის დამთავრების შემდეგ სახლში მიდის, 15 საათზე სადილობს, ცოტა ხანს ისვენებს, შემდეგ მეცადინეობს. მას ბევრი დავალება აქვს, ენებს სწავლობს. მომავალ წელს გერმანიაში წავა. გიორგი საღამოს ოჯახთან ერთად ვახშმობს. ძილის წინ ტელევიზორს უყურებს. 12 საათზე იძინებს.



4. ტექსტის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1. რომელ საათზე იღვიძებს გიორგი?

.....

2. რომელ საათზე საუზმობს გიორგი?

.....

3. გაკვეთილები 9 საათზე იწყება?

.....

4. ვისთან ერთად ვახშმობს გიორგი?

.....

5. გიორგი ადრე იძინებს?

.....



5. დაწერეთ თქვენი დღის რეჟიმი!

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

6. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. დგება / საათზე / ასაფი / რვა

.....

2. შვილები / სადილობენ / ერთად / მშობლები / და

.....

3. ალი / საათზე / რომელ / სკოლაში / მიდის?

.....

4. დრო / მაქვს / თავისუფალი / არ / მე

.....





# გრამატიკა

## 1. ნაცვალსახელები (ვისთან? რასთან? ვისთან ერთად? რასთან ერთად?)

ვინ? — ვის + თან —> ვისთან? / ვისთან ერთად?  
 რა? — რას + თან —> რასთან? / რასთან ერთად?

ა: ვისთან ხარ?  
 ბ: ამხანაგთან ვარ.  
 ა: გერმანიაში ვისთან ერთად მიდიხარ?  
 ბ: გერმანიაში დედასთან ერთად მივდივარ.  
 ა: შენი სახლი რასთან არის ახლოს?  
 ბ: ჩემი სახლი სკოლასთან არის ახლოს.

## 2. ზმნიზედები

როდის? რა დროს?	რამდენ ხანში? რა დროში?	რამდენი ხნით?
დღეს, გუშინ, ხვალ, გუშინწინ, ზეგ, მაზეგ. ახლა, ამ დროს, შემდეგ, წინ, ადრე, დილას    დილით, საღამოს...	ერთ საათში, ორ დღეში, ერთ თვეში, სამ წელიწადში... ხუთ წუთში, რამდენიმე წამში... დილიდან საღამომდე...	10 წუთით, 1 საათით, 1 დღით, 2 კვირით, 5 წლით...

**გუშინ** ავად ვიყავი და ექიმთან წავედი.  
**ხვალ** ჩვენთან სტუმრები მოვლენ.  
**რამდენიმე** წუთში გაკვეთილი დამთავრდება.  
 ერთი საათის **წინ** მამა ბანკში იყო.  
 შულებს მშობლები **დილიდან საღამომდე** კლინიკაში არიან.  
**ორი კვირით** ანტალიაში მივდივართ.  
 თუ შეიძლება, **ერთი წუთით!**



### 3. ზმნა

გაღვიძება			
	ახლანდელი	მომავალი	წარსული
მე	ვ-იღვიძებ	გა-ვ-იღვიძებ	გა-ვ-იღვიძე
შენ	იღვიძებ	გა-იღვიძებ	გა-იღვიძე
ის	იღვიძებ-ს	გა-იღვიძებ-ს	მან გა-იღვიძა
ჩვენ	ვ-იღვიძებ-თ	გა-ვ-იღვიძებ-თ	გა-ვ-იღვიძე-თ
თქვენ	იღვიძებ-თ	გა-იღვიძებ-თ	გა-იღვიძე-თ
ისინი	იღვიძებ-ენ	გა-იღვიძებ -ენ	მათ გა-იღვიძ-ეს

დაბანა			
	ახლანდელი	მომავალი	წარსული
მე	ვ-იბან	და-ვ-იბან	და-ვ-იბანე
შენ	იბან	და-იბან	და-იბანე
ის	იბან-ს	და-იბან-ს	და-იბან-ა /მან
ჩვენ	ვ-იბან-თ	და-ვ-იბან-თ	და-ვ-იბანე-თ
თქვენ	იბან-თ	და-იბან-თ	და-იბანე-თ
ისინი	იბან-ენ	და-იბან-ენ	და-იბან-ეს /მათ



# კროსვორდი

ჩაწერეთ დროის აღმნიშვნელი სიტყვები!

		ა		ი					თ
	უ								
			ს		უ		უ		ე
დ			ა						
			ა						
ე			თ						
			ი		ლ			ე	
კ			რ					ი	

- პასუხები:** 1. საათი    2. წელი    3. წამი    4. საუკუნე    5. წუთი  
 6. თვე    7. ღამე    8. დილა    9. დღე    10. კვირა.

თავის ძირითადი სიტყვები და ფრაზები:

- დრო
- საათი
- საუკუნე
- წელი
- თვე
- კვირა
- წუთი
- წამი
- ნახევარი
- რეჟიმი
- დილა
- საღამო
- ღამე
- დღე-ღამე
- გაზაფხული
- ზაფხული
- შემოდგომა
- ზამთარი

- აღგომა
- გაღვიძება
- დაბანა
- საუზმობა
- სადილობა
- ვახშმობა
- დაძინება

- ადრე
- დღეს
- გუშინ
- ხვალ
- ზეგ
- წინ
- შემდეგ
- რომელ საათზე?
- როდის?/რა დროს?
- რა დღეა დღეს?
- რა რიცხვია?






# დანართი 1. დავალებები თავი 1.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!


1. სალამო მშვიდობისა!   2. კარგად იყავი!   3. დილა მშვიდობისა!   4. ნახვამდის!  
 5. ღამე მშვიდობისა!   6. გამარჯობა!   7. რა გქვია?   8. მადლობა!  
 9. კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება!



Blank grid for writing the answer to the first illustration.



Blank grid for writing the answer to the second illustration.



Blank grid for writing the answer to the third illustration.



Blank grid for writing the answer to the fourth illustration.




Blank grid for writing the answer to the fifth illustration.




Blank grid for writing the answer to the sixth illustration.



Blank grid for writing the answer to the seventh illustration.



Blank grid for writing the answer to the eighth illustration.



Blank grid for writing the answer to the ninth illustration.





2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

3. დააცალკევეთ ფორმები!

**ნიმუში:** გ\_მ\_რ\_ჯ\_ბ\_ = გამარჯობა!

1. დ\_ლ\_ მ\_მ\_დ\_ბ\_ა!
2. კ\_ა\_რ\_გ\_ \_ \_ ი\_ყ\_ \_ \_ი!
3. რ\_გ\_რ\_ ხ\_რ\_ \_?
4. რ\_ა\_ გ\_ \_ \_ია?
5. \_ \_ა\_ \_ამ\_ მ\_მ\_ \_დ\_ო\_ \_ \_ს\_!


**ნიმუში:** რა გვარი ხარ? : რა გვარი ხარ?

1. სალამომშვიდობისა! : .....
2. დილამშვიდობისა! : .....
3. მომავალშეხვედრამდე! : .....
4. კარგადარვარ. : .....
5. დიდიმადლობა! : .....

4. დააკავშირეთ ფორმები!

სალამო მშვიდობისა!  
 გამარჯობა!  
 რა გვარი ხარ?  
 რა გქვია?  
 ნახვამდის!  
 სალამი!  
 როგორ ხარ?

გაგიმარჯოს!  
 მე მქვია გიორგი.  
 სალამი!  
 სალამო მშვიდობისა!  
 მადლობა, კარგად!  
 მე ვარ აბაშიძე.  
 კარგად იყავი!



5. შეადგინეთ წინადადებები!

**ნიმუში:** ჩემი სახელია ახმედი, გვარია ჩალიშქანი.

1. .... (გიორგი აბაშიძე)
2. .... (მეხმედ ილმაზი)
3. .... (ნინო დადიანი)
4. .... (ჰატიჯე გული)
5. .... (დავით ბერიძე)



6. გაასწორეთ შეცდომები!

7. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

**ნიმუში:** გამერჯება – გამარჯობა!

1. კარქათ იყევი : .....
2. რა გვარი ჰარ : .....
3. დილა მშვიდობისა: .....
4. ნახვანდის : .....
5. სუდად ვარ : .....
6. დილი მედლობა : .....

**ნიმუში:** ა. შენ როგორ ხარ ?

- ბ. მე კარგად ვარ.
- ა. .... როგორ არის?
  - ბ. .... კარგად არის.
  - ა. .... როგორ არიან?
  - ბ. .... კარგად არიან.
  - ა. .... როგორ ხართ?
  - ბ. .... კარგად ვართ.

8. შეადგინეთ წყვილები ნიმუშის მიხედვით!



ჩემი მანქანა



9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტები!

1. გამარჯობა!

- ა) კარგად.
- ბ) გაგიმარჯოს!
- გ) ღამე მშვიდობისა!
- დ) ნახვამდის!

2. შენ რა გქვია?

- ა) მე ვარ ქაია.
- ბ) მე ვარ ოზდემირი.
- გ) მე ვარ კახიძე.
- დ) მე შულე მქვია

3. როგორ ხარ?

- ა) ნახვამდის!
- ბ) მადლობა, კარგად ვარ.
- გ) სალამი!
- დ) ის კარგად არის.

4. ნახვამდის!

- ა) დილა მშვიდობისა!
- ბ) გაგიმარჯოს!
- გ) კარგად იყავით!
- დ) მოგესალმებით!














## თავი 2.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

- 1. მასწავლებელი
- 4. წიგნები
- 7. საშლელი

- 2. ჩანთა
- 5. სახაზავი
- 8. გლობუსი

- 3. მოსწავლეები
- 6. დაფა
- 9. კომპიუტერი







2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

3. დააცალკევით ფორმები!

**ნიმუში:** ს \_ ხ \_ ზ \_ ვ \_ = სახაზავი

- მ \_ სწ \_ ვლ \_ ბ \_ ლ \_ = .....
- გა \_ ვ \_ თ \_ \_ ი = .....
- \_ ლ \_ ბუ \_ ი = .....
- მ \_ ს \_ ა \_ ლ \_ = .....
- \_ ომპ \_ უ \_ ე \_ ი = .....

**ნიმუში:** შენჩანთაგაქვს?      შენ ჩანთა გაქვს?

1. რამდენიმეგობარიგყავს?      : .....
2. არა,ესჩანთაარარის.      : .....
3. ესკალამიკარგადწერს?      : .....
4. ისინიმოსწავლებიარიან.      : .....
5. კომპიუტერიმაქვს?      : .....

4. დააკავშირეთ ფორმები!

5. გაასწორეთ შეცდომები!

შენ ჩანთა გაქვს?	ძალიან ბევრი.
კომპიუტერი გაქვს?	დიახ, კარგად წერს.
რამდენი მეგობარი გყავს?	დიახ, მე ჩანთა მაქვს.
ის კალამი კარგად წერს?	არა, მე დავითი ვარ.
ბგერები კარგად იცი?	არა, ეს კალამია.
თქვენ გიორგი ხართ?	არა, არ მაქვს.
ეს ფანქარია?	დიახ, კარგად ვიცი.

**ნიმუში:** დგეს : დღეს

1. კონპიუტერი : .....
2. ცჰრილი : .....
3. მაფათიეტ! : .....
4. დასვანებე : .....
5. რანდემი? : .....
6. ანა უშევს! : .....

6. მოცემული ცხრილის მიხედვით სწორი პასუხის აღსანიშნავად ფრჩხილებში ჩაწერეთ „ს“, არასწორი პასუხის აღსანიშნავად - „შ“!

№	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
1.	მათემატიკა	თურქული ენა	ინგლისური ენა	მათემატიკა	თურქული ენა	დასვენების დღეები	
2.	მათემატიკა	თურქული ენა	ინგლისური ენა	მათემატიკა	თურქული ენა		
3.	ქართული ენა	ქიმია	ბიოლოგია	რელიგიის კულტურა და ეთიკა	ფიზიკა		
4.	ქართული ენა	ისტორია	გეოგრაფია	რელიგიის კულტურა და ეთიკა	ინგლისური ენა		
5.	მუსიკა	ხატვა	ფიზკულტურა	ხელსაქმე			





- ( ) – კვირაში 25 საათი გაკვეთილი არის.
- ( ) – თურქული სამშაბათს და ხუთშაბათს არის.
- ( ) – პარასკევს ექვსი გაკვეთილი არის.
- ( ) – ხატვა სამშაბათს არის.
- ( ) – კვირაში სამი საათი ქართული ენის გაკვეთილი არის.
- ( ) – შაბათ-კვირა დასვენების დღეებია.

7. სურათების მიხედვით მოცემულ კითხვებს გაეცით პასუხი!



ა) ეს რა არის?  
ბ) .....



ა) ესენი ვინ არიან?  
ბ) .....



ა) ეს რა არის?  
ბ) .....



ა) ეს ვინ არის?  
ბ) .....



ა) ეს რა არის?  
ბ) .....



ა) ეს ვინ არის?  
ბ) .....



ა) ეს რა არის?  
ბ) .....



ა) ეს ვინ არის?  
ბ) .....



8. მიუწერეთ სიტყვებს შესაბამისი რიცხვები!

- ნიმუში: თექვსმეტი 16**
- 1. ოცდაათი .....
  - 2. ხუთი .....
  - 3. ოცდათვრამეტი .....
  - 4. ორმოცდაცხრა .....
  - 5. სამოცდათერთმეტი .....
  - 6. ოხმოცდასამი .....
  - 7. ას ათი .....
  - 8. სამას ოცდათვრამეტი .....

9. ჩასვით სიტყვები მრავლობით რიცხვში!

- ნიმუში: გლობუსი გლობუსები**
- 1. ჩანთა .....
  - 2. მასწავლებელი .....
  - 3. მოსწავლე .....
  - 4. კომპიუტერი .....
  - 5. გაკვეთილი .....
  - 6. მერხი .....
  - 7. რვეული .....
  - 8. კალამი .....

10. ჩასვით ცხრილებში სათანადო სიტყვები!

მასწავლებელი, გაკვეთილი, მოსწავლე, ძაღლი, მერხი, მანქანა, წიგნი, კალამი, ფანქარი, მეგობარი, დაფა, დედა

**მეავს**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

**მაქვს**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....



11. შემოხაზეთ სწორი ვარიანტები!

1. კლასში რამდენი მოსწავლეა?  
 ა) მათემატიკა არის  
 ბ) ერთი მასწავლებელი არის  
 გ) კლასში ოცი მოსწავლე არის.  
 დ) მუსიკა სამშაბათს არის.

2. მე წიგნს .....  
 ა) იციან.  
 ბ) კითხულობს  
 გ) ვიცი.  
 დ) ვკითხულობ.

3. ეს ვინ არის?  
 ა) ცარცი არის.  
 ბ) დაფა არის.  
 გ) ჩემი მასწავლებელი არის.  
 დ) სახაზავი არის.

4. .... ჩვენი ცხრილი იცის.  
 ა) მასწავლებელი.  
 ბ) მასწავლებელმა.  
 გ) მასწავლებელს.  
 დ) მოსწავლე.







## თავი 3.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

1. მამა      2. დედა      3. ბაბუა      4. ბებია      5. ძმა  
6. და      7. მამიდა      8. დეიდა      9. ბიძია




Blank grid for labeling the first illustration.




Blank grid for labeling the second illustration.




Blank grid for labeling the third illustration.



Blank grid for labeling the fourth illustration.




Blank grid for labeling the fifth illustration.




Blank grid for labeling the sixth illustration.



Blank grid for labeling the seventh illustration.



Blank grid for labeling the eighth illustration.



Blank grid for labeling the ninth illustration.






2. დააკავშირეთ!

1. მამა რამდენი წლისაა?	ა) დედაჩემი დიასახლისია	უმც	ფელი
2. ეს ვინ არის?	ბ) თბილისში ვცხოვრობ.	ნათე	ხუცი
3. დედა სად მუშაობს?	გ) მამა 46 წლისაა.	სო	როსი
4. მამიდა გყავს?	დ) ჩემი და არის.	მშობ	ლები
5. სად ცხოვრობ?	ე) არა, არ მყავს.	აქა	სავი
		მო	ური

3. სქემების მიხედვით გაეცით კითხვებს პასუხი!



- ქალბატონი ლელა ბატონი შოთას .....
- ბატონი შოთა ქალბატონი .....
- ელენე გიორგის .....
- გიორგი ელენეს .....
- ქალბატონი ლელა და ბატონი შოთა ელენესა და გიორგის .....
- ელენე და გიორგი ქალბატონი ლელასა და ბატონი შოთას .....



4. მოცემული სიტყვების მიხედვით შეავსეთ გამოტოვებული ადგილები!

იყოს	გმადლობთ,	გაცნობა!	ბრძანდებოდეთ!
------	-----------	----------	---------------

ა. კეთილი ..... თქვენი მობრძანება!

ბ. მადლობა!

ა. როგორ ბრძანდებით?

ბ. ...., კარგად ვარ.

ა. მიხარია თქვენი .....

ბ. მეც კარგად .....

5. მიუთითეთ, რომელი სიტყვა არ არის ნათესავის აღმნიშვნელი!

1.	მამიდა	✓	ქალბატონი	ბიძა	ბაბუა
2.	დეიდა		ბიცოლა	მეგობარი	ქმარი
3.	ბატონი		მამა	დედა	ცოლი
4.	და		მეგობარი	ძმა	ბებია





6. წაკითხეთ დიალოგი!

## ალის ოჯახი

ია: ეს თქვენი ოჯახის სურათია?

ალი: დიახ, ეს მე ვარ. ეს მამაჩემია. მას ჰქვია მურადი. ეს დედაჩემია.

მას ჰქვია აიშე. ეს კი ჩემი და ელიფია.

ია: ელიფი რამდენი წლისაა?

ალი: ელიფი შვიდი წლის არის.

ია: ეს ხნიერი კაცი ვინ არის?

ალი: ის, ბაბუაჩემია, 65 წლისაა.

ია: კარგი, ესენი ვინ არიან?

ალი: მამიდაჩემი ესრა, მისი ქმარი დურსუნი, ესენი კი მათი შვილები,

ჯემალი და ფატიმაა.

ია: ეს ახალგაზრდა კაცი ვინ არის?

ალი: ეს ბიძაჩემია, მას ჰქვია ჰუსეინი.

7. წაკითხული დიალოგის მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს!

1. ხნიერი კაცი ვინ არის?

-----

2. ალის და რამდენი წლის არის?

-----

3. სურათზე ვინ და ვინ არის?

-----

4. ახალგაზრდა კაცი ალის ბიძაა?

-----

5. ალის მამას რა ჰქვია?

-----



8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები „-ში“ და „-ზე“ თანდებულებით!

1. ჩემს ოჯახ.....შვიდი წევრია.
2. შენს მერხ..... ჩემი ჩანთაა.
3. სოფელ.... ლამაზი სახლებია.
4. სკოლა.... ბევრი მოსწავლეა.
5. მაგიდა.... კომპიუტერი და გლობუსია.
6. მოსწავლე დაფა..... წერს.

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი!

1. შენ სადაური ხარ?

- ა) მე აქაური ვარ.
- ბ) ის იქაური არის
- გ) ჩვენ აქაურები ვართ.
- დ) ისინი აქაურები არიან.

2. ისინი სად ცხოვრობენ?

- ა) ბურსაში ცხოვრობს
- ბ) სივასში ცხოვრობთ.
- გ) ბათუმში არიან.
- დ) ქუთაისში ცხოვრობენ.

3. საიდან მოდიხარ?

- ა) სტამბოლში მივდივარ.
- ბ) მე ანკარაში ვცხოვრობ.
- გ) სკოლიდან მოვდივარ.
- დ) მე აქედან მივდივარ.

4. დედა სად მუშაობს?

- ა) დედაჩემი დიასახლისია.
- ბ) მამაჩემი სკოლაში მუშაობს.
- გ) ჩემი ძმა სკოლაში სწავლობს.
- დ) ჩემი და მასწავლებელია.

5. აქ რას აკეთებ?

- ა) მე აქაური ვარ.
- ბ) ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს
- გ) მე აქ ვსწავლობ.
- დ) ისინი ანკარაში ცხოვრობენ.





# თავი 4.

1. დაუკავშირეთ სიტყვები ნომრებით სურათებს!

- |                 |               |                   |
|-----------------|---------------|-------------------|
| 1. სახლი        | 2. აივანი     | 3. მისაღები ოთახი |
| 4. საწოლი ოთახი | 5. სამზარეულო | 6. სააბაზანო      |
| 7. ეზო (ბაღი)   | 8. გარაჟი     | 9. სხვენი         |





2. დააკავშირეთ სიტყვები!

- |                   |               |
|-------------------|---------------|
| 1. მისაღები ოთახი | ა. მანქანა    |
| 2. საწოლი ოთახი   | ბ. ხე         |
| 3. სააბაზანო      | გ. ტელევიზორი |
| 4. სამზარეულო     | დ. სარკე      |
| 5. გარაჟი         | ე. საწოლი     |
| 6. ეზო            | ვ. მაცივარი   |

3. გაასწორეთ შეცდომები!

- |               |   |       |
|---------------|---|-------|
| 1. კარედა     | : | ..... |
| 2. ბიგლიოთეკა | : | ..... |
| 3. მაგოდა     | : | ..... |
| 4. კარპუსი    | : | ..... |
| 5. ტელევიზონი | : | ..... |
| 6. სავარზელი  | : | ..... |

4. ჩაწერეთ სახელები „ვინ“ და „რა“ ჯგუფების მიხედვით!

მოსწავლე - მაგიდა - მასწავლებელი - გიორგი - კარადა - კაცი - აივანი - ყვავილი

ვინ?

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

რა?

.....

.....

.....

.....

.....

.....


.....

.....

.....



5. უპასუხეთ შეკითხვებს სურათების მიხედვით!



- 1. მერამდენე სართულზეა ბატონი დავითი?  
.....
- 2. მერამდენე სართულზეა კატა?  
.....
- 3. მერამდენე სართულზეა ქალბატონი ნურანი?  
.....
- 4. მერამდენე სართულზეა ჩიტი?  
.....
- 5. მერამდენე სართულზეა ბატონი მურადი?  
.....



6. დააკავშირეთ ანტონიმები!

1. შიგნით	ა. დაბლა
2. ზევით	ბ. ბნელი
3. ახლოს	გ. დაბალი
4. მაღლა	დ. გარეთ
5. ნათელი	ე. შორს
6. მაღალი	ვ. ქვევით

7. დააკავშირეთ მარცვლები!

1. ნა	თული
2. მა	ქურა
3. სარ	კე
4. სახუ	ჯარა
5. გაზ	ღალი
6. სარ	თელი
7. ფან	რავი

8. შეადგინეთ წინადადებები!

მე	ქალაქში	ვცხოვრობ
ის	ეზოიან სახლში	ცხოვრობს
ჩვენ	სამოთახიან სახლში	ვცხოვრობთ
ისინი	კერძო სახლში	ცხოვრობ
შენ	საერთო ბინაში	ცხოვრობენ

ნიმუში: მე ქალაქში ვცხოვრობ.

- .....
- .....
- .....
- .....

9. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი!

- რომელი არ არის სახლში?
  - ა. მაცივარი
  - ბ. ტელევიზორი
  - გ. ხე
  - დ. მაგიდა
- სად რა არის?
  - ა. სააბაზანო – მაგიდა
  - ბ. მისაღები ოთახი – მაცივარი
  - გ. გარაჟი – მანქანა
  - დ. სამზარეულო – სავარძელი

- ეს ვისი ოთახია?
  - ა. მამაჩემის მანქანაა.
  - ბ. დავითის ოთახია.
  - გ. მეშვიდე ოთახია.
  - დ. დედაჩემის მეგობარია.
- როგორი?
  - ა. მზიანი
  - ბ. ქუდიანი
  - გ. აივნისანი
  - დ. სათვალისანი

ნიმუში: ავეჯი – ავეჯიანი

მზე – .....

- ა. მზიანი
- ბ. ქუდიანი
- გ. აივნისანი
- დ. სათვალისანი












# თავი 5.

1. მიუწერეთ სიტყვები სურათებს!

- 1. თურქეთი
- 2. საქართველო
- 3. აზერბაიჯანი
- 4. ეგვიპტე
- 5. ამერიკა
- 6. გერმანია
- 7. საფრანგეთი
- 8. ინგლისი
- 9. რუსეთი





2. შეავსეთ ცხრილი!

ქვეყნები	დედაქალაქები	ხალხები	ენები
საქართველო	თბილისი	ქართველი	ქართული
თურქეთი			
აზერბაიჯანი			
ინგლისი			
იტალია			
ესპანეთი			
ამერიკა			
იაპონია			

3. დააკავშირეთ!

1. მე	ა. მიდის
2. შენ	ბ. მიდიხართ
3. ის	გ. მივდივარ
4. ჩვენ	დ. მიდიან
5. თქვენ	ე. მიდიხარ
6. ისინი	ზ. მივდივართ

1. იტალიელი	ა. ბერძნული
2. ფრანგი	ბ. ესპანური
3. რუსი	გ. რუსული
4. ბერძენი	დ. იტალიური
5. ინგლისელი	ე. ფრანგული
6. ესპანელი	ზ. ინგლისური

4. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები!

1. თამარი / მოქალაქეა / საქართველოს – .....
2. სწავლობს/ ქართულ / ალი / /ენას – .....
3. რუსეთის /ნატალია / მოქალაქეა – .....
4. ნატალიამ / ენა / იცის / ქართული / არ – .....
5. მშობლიური / ენა / თურქულია / ალის – .....
6. ენა / იცის / ქართული / თამარმა – .....
7. მერიემს აქვს/მოქალაქის/საქართველოს/პასპორტი – .....

.....



5. ჩაწერეთ ზმნის სათანადო ფორმები!

	მოსვლა	მოგზაურობა	სწავლა
მე		ვმგზავრობ	
შენ			
ის	მოდის		
ჩვენ			
თქვენ			სწავლობთ
ისინი			

6. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი!

1. რომელია განხვავებული?

- ა. თურქეთი
- ბ. იაპონია
